საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები და ინსტრუმენტები, ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებები, მიზნის, კონცეფციის და სისტემის მიმართ კონფორმულობა, ცოდნისა და შეფასების პრობლემა, ინსტრუმენტთა დოზირების საზღვრები.

ციტირებისთვის: გველესიანი, რ., ბედიანაშვილი, გ. (2021). დოზირებისა და დაყოვნების პრობლემა ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენების პროცესში. *გლობალიზაცია და ბიზნესი, №11*, 16-24. <https://doi.org/10.35945/gb.2020.11.002>

შესავალი

ეკონომიკური პოლიტიკის ისეთ ღონისძიებათა ძიების პროცესში (რომლებმაც თავიდან უნდა აგვაშოროს დასახული მიზნისგან გადახვევა), თავდაპირველად აუცილებელია შემოწმდეს თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოსალოდნელი შედეგი უშუალოდ ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებთან დამოკიდებულებაში. მიზნის მიმართ კონფორმულად უნდა მივიჩნიოთ ყველა ის ღონისძიება, რომელიც მიესადაგება ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემის გადაჭრას.

მიზნის მიმართ კონფორმულობის კრიტერიუმის გამოყენება მხოლოდ იმის უფლებას იძლევა, რომ ღონისძიებათა ეფექტიანობის შესახებ მხოლოდ ერთიანი (არადიფერენცირებული) მოსაზრება გვექონდეს;

კონცეფციის თუ სისტემის მიმართ კონფორმულობის კრიტერიუმი მხოლოდ წინასწარი მსჯელობის საშუალებას გვაძლევს, რომლის საფუძველზე მიზნის მიმართ კონფორმულ ღონისძიებათა აგრეთვე მხოლოდ წინასწარ არჩევა შეიძლება (Tuchtfeldt, 1982).

ღონისძიებათა სწორი არჩევანი მოითხოვს უფრო მრავალმხრივ და დიფერენცირებულ მსჯელობას. ამიტომ საჭიროა საშუალებათა გამოყენების შეფასება. საშუალებების შესახებ შეფასებითი მსჯელობები შესაძლებელი იქნება თუ კონკრეტულ ღონისძიებასთან დამოკიდებულებაში ერთმანეთს შევადარებთ ეკონომიკური პოლიტიკის მოსალოდნელ სარგებელსა და ხარჯებს.

ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით აუცილებელი იქნება ისეთი ღონისძიების იდენტიფიცირება, რომელსაც სხვა ზომებთან შედარებით ყველაზე მეტი საერთო სარგებლობის მოტანა შეუძლია.

ხარჯებისა და სარგებლის ეკონომიკურ-პოლიტიკური ანალიზი შესაძლებელი იქნება თუ გადაჭრილია ორი პრობლემა:

- ძირითადი და თანმხლები ზემოქმედებების შეფასება გულისხმობს მართვის შესაბამის ცოდნას (ცოდნის პრობლემა);
- გადაწყვეტილების მიმღებ ინსტანციას მოეთხოვება მოსალოდნელ ზემოქმედებათა შეფასება (შეფასების პრობლემა).

ცოდნის პრობლემა და შეფასების პრობლემა ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენების პროცესში

ცოდნის პრობლემის დაძლევაში აუცილებელია ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პრობლემის ასხნა, რომლის გადაჭრასაც ხარჯებისა და სარგებლის ანალიზი გავიანდვილებს. ასეთი პრობლემები ოპერაციონალიზებას უკავშირდება. მიზნისა და კონცეფციის მიმართ კონფორმული საშუალებების, მათი ზემოქმედებისა და გამოყენებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯები მნიშვნელოვანია მას შემდეგ გავაანალიზოთ, როცა დაკონკრეტდება მიზნები. მათ განხილვამდე საჭიროა საშუალებების მართვასთან დაკავშირებული საკითხები ავხსნათ. ასეთია: შერჩეული საშუალების დობირების შემოწმება, ასევე იმის შეფასება, თუ რა საფრთხეებს გამოიწვევს დობირებასთან დაკავშირებული ცდომილება (ეკონომიკური პოლიტიკის თეორიული და მეთოდური საკითხების კვლევას ეძღვნება არა ერთი ნაშრომი, იხ., მაგალითად: Gaprindashvili (2017; 2019), Gvelesiani&Gogorishvili (2014), Gvelesiani (2015a; 2015b; 2016a; 2016b; 2017a; 2017b; 2017c; 2020a; 2020b; 2020c; 2020d; 2021).

დასახულ მიზანთან მიახლოება იმის საშუალებასაც მოგვცემს, რომ შევაფასოთ სხვა მიზნებზე მისი, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ზემოქმედება. ამავე დროს შეუძლებელია შეფასებათა მეცნიერული ანალიზი განხორციელდეს. მეცნიერულად შესაძლებელია დასაბუთდეს მხოლოდ მტკიცებულებები, როგორც დასახული მიზნის რეალიზების, ისე გამოყენებული საშუალების ზემოქმედების თაობაზე. საქმე ეხება იმის შეფასებას, თუ რამდენად ზრდის ან ამცირებს კონკრეტული ღონისძიება დასახული მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. ამისათვის უნდა ვისარგებლოთ იმის ცოდნით, თუ რა ზემოქმედება შეუძლია მოახდინოს მიზანზე გამოყენებულმა საშუალებამ. ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილების გამტარებელთა შეფასებები, როგორც წესი, პარტიებისა და ინტერესთა ჯგუფების მიმართ პოლიტიკურ ანტიპათიებსა თუ სიმპათიებში ვლინდება ხოლმე. ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა მიმართ წინააღმდეგობამ შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება გამოიწვიოს. მაგ., როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციები პარლამენტის თანხმობის მოპოვებას ცდილობს. ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება კი, როგორც წესი, ღონისძიებათა ზემოქმედების ფორმალურ ანალიზს უკავშირდება.

ცოდნასთან და შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემები ნათლად გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ხარჯებისა და სარგებლის ანალიზი საუკეთესო შემთხვევაში არასრული ხასიათის იქნება. ასეთ ანალიზს შემოქმედებითი და პრაგმატული მნიშვნელობაც აქვს: იგი მეთოდურ დახმარებას გვიწევს მართვასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლე-

მის იდენტიფიცირებისა და მისი სწორად შეფასების საქმეში.

კონკრეტული ღონისძიების შეფასების პირობაა იმის ცოდნა, თუ რა ზემოქმედებას მოახდენს იგი (საშუალება) დობირებული გამოყენების შემთხვევაში. სწორედ ასეთი ცოდნის საფუძველზე ხდება შესაძლებელი ღონისძიების მიერ გამოწვეული, როგორც ძირითადი და თანმხლები, ისე მოკლევადიანი და გრძელვადიანი ზემოქმედებათა განსაზღვრა და შეფასება. ხშირად საშუალების გამოყენების დანახარჯებიც მისი გამოყენების დობირებაზე დამოკიდებულია.

საშუალების გამოყენების ეფექტი მიზნებსა და საშუალებებს შორის დამოკიდებულებების ტექნოლოგიას ეხება. ასეთი მიმართებები კი განსაზღვრავს რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების შესაძლებლობათა სფეროს. მათი უგულვებელყოფა ეკონომიკური პოლიტიკის ასპექტით არასასურველ შედეგებს გამოიწვევს. მათი მიზნები კი ძირითად მიზნებზე შედეგობრივ ურთიერთობათა შესახებ შეზღუდული ცოდნის არსებობაა. მიზნებზე შედეგობრივი ურთიერთობები ხშირად მხედველობის არედან ქრება, და ეს ხდება იმიტომ რომ:

- საშუალებასა და მიზანს შორის „ჩართულია“ მრავალი სხვა პროცესი;
- საშუალების მიზნობრიობა იცვლება იმ ზემოქმედებათა საფუძველზე, რომლებიც კერძო ინდივიდთა რეაქციას მოჰყვება ხოლმე, როგორც საშუალების გამოყენების შედეგი;
- გარკვეული დროა საჭირო იმისათვის, რომ მიზანზე კერძო სუბიექტთა რეაქციის ყველა ზემოქმედება დასრულდეს.

ამ სირთულეებს სტაბილიზების პოლიტიკის ასპექტით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. კეინზიანური მოდელი მათი ნათლად განსაზღვრის საშუალებას გვაძლევს. თუ მიზანი არის მთლიანი შიდა პროდუქტის გაზრდა და სამთავრობო ხარჯების ზრდის შეფასება, მაშინ გარდა მიზანზე პირდაპირი ზემოქმედებისა, აუცილებელია ფულად და სასაქონლო ბაზარებზე მიმდინარე სხვა (საგარეო ვაჭრობის ჩათვლით) პროცესების გათვალისწინებაც. ამის შედეგია ის, რომ მულტიპლიკატორული ეფექტი სუსტდება. არსებული ფულის მასის პირობებში სირთულეები გულისხმობს სამომხმარებლო ხარჯების ზრდას, რაც, თავის მხრივ, სამთავრობო ხარჯების ზრდის უშუალო შედეგს წარმოადგენს. ხარჯების ზრდასთან დაკავშირებული შემოსავლებზე დამატებითი ზემოქმედება გრძელვადიანი პერიოდში სუსტდება. ამის მიზეზი შეიძლება იყოს პროცესი, რომელიც მიმდინარეობს: დანაზოგის ზრდით, ასევე შემოსავლებთან დაკავშირებული დაბეგვრის უარყოფითი ეფექტებითა და იმპორტის ზრდით. ამას, როგორც წესი, ემატება ის ნეგატიური ზემოქმედებაც, რომელსაც საინვესტიციო ხარჯების შემცირება მულტიპლიკატორულ ეფექტებზე ახდენს. პროცესი კიდევ უფრო ღრმავდება, როდესაც ტრანსაქციების ფულზე შემოსავლებით სტიმულირებული მოთხოვნა იზრდება. მაშინაც კი, როდესაც ეკონომიკა წონასწორულ მდგომარეობაშია და მომხმარებელთა ქცევა (მოხმარების ფუნქცია) შეცვლებულ რეაქციებს გულისხმობს,

თავს იჩენს მესამე სირთულე. პერიოდული ანალიზი ეკონომიკური პროცესების მხოლოდ ნაწილს მოიცავს, მაგრამ საქმე ის არის, რომ მომდევნო პერიოდებში რეაქციების შეყოვნებაზე ზემოქმედებას ინსტრუმენტების ცვალებადობა ახდენს. ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა დობირება შესაძლოა შეესაბამებოდეს მხოლოდ მიმდინარე პერიოდს. ამავდროულად არ არის გამორიცხული, რომ შუალედურ პერიოდში მისი ზედმეტი დობით გამოყენება მოხდეს.

საშუალების გამოყენებისას, გარდა იმისა, რომ აუცილებელია გარკვეული შეფასებების გაკეთება, დობირების საზღვრებიც უნდა გავითვალისწინოთ. ასეთი საზღვრები, უპირველეს ყოვლისა, ტექნიკურად არის განპირობებული. რა თქმა უნდა, შეუძლებელია ყველა საშუალების თანაბარი სიზუსტით დობირება. ამ კონტექსტში მხედველობაში უნდა გვქონდეს თვისებრივ და რაოდენობრივ საშუალებებს შორის განსხვავება. თვისებრივი საშუალებაა შრომის დაცვის კანონი, უკიდურესი ღონისძიების – კარტელის აკრძალვის, ანდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ კანონი. რაოდენობრივი საშუალებაა საგადასახადო ტარიფი და საპროცენტო განაკვეთი, სახელმწიფო საინვესტიციო ხარჯები ან თამასუქის განაღდებასა საპროცენტო გადასახადელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დობირების ის საზღვრები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით ანდა საერთაშორისო ხელშეკრულებებითაა დადგენილი. ისინი როგორც წესი, ზღუდავს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა მოქმედების არეალს. იმის მაგალითად თუ როგორ იზღუდება ინსტრუმენტების დობირება საერთაშორისო დონეზე, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO) გამოდგება, რომელიც შეზღუდვებს უწყებს წევრ სახელმწიფოებს საგარეო ვაჭრობის სფეროში. სისტემისადმი კონფორმულობის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ინსტრუმენტთა დობირების ის წესები, რომლებიც კონსტიტუციით არის გარანტირებული. ასეთი საკონსტიტუციო გარანტიები საკუთრებას გააჩნია. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ კერძო საკუთრების საჯარო საკუთრებაში გადასვლა იზღუდება. ეს ვითარება შეესაბამება სამართლის შესახებ გაბატონებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც საკუთრების სოციალიზაცია დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში (თუმცა მაინც დასაშვებია).

ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების რაოდენობრივი განსაზღვრულობა და დაცვების პრობლემა

ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტთა გამოყენების თვალსაზრისით შეფასების პრობლემა დობირების პრობლემას უკავშირდება. ამ პრობლემის გათვალისწინება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც: 1) შესაფასებელი საშუალება მაქსიმალურად ზუსტად არის დობირებული; 2)

როგორც მიზანზე ზემოქმედება, ისე თანმხლები ზეგავლენა დობირების ხარისხთან ერთად იცვლება და შეფასებულია, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი ზემოქმედება; 3) საშუალების გამოყენების ხარჯები ფიქსირებულ ხარჯებზე კი არ დაიყვანება, არამედ ისიც დობირების ხარისხის მიხედვით ცვალებადობას განიცდის და ცნობილია მისი საერთო რაოდენობა. ამ უკიდურესად გამარტივებული წანამძღვრებიდან გამომდინარე შესაძლებელია ერთმანეთისგან განვასხვავოთ დობირების შემდეგი ხარისხები:

- საშუალება ოპტიმალურად არის დობირებული, როდესაც მისი სხვაგვარად დობირების შესაძლებლობა უფრო დიდ საერთო სარგებელს არ მოიტანდა;
- საშუალების დობირების ხარისხი აბსოლუტურად არასაკმარისია, როდესაც მისი გამოყენების დანახარჯები მიღებულ სარგებელს აჭარბებს. საერთოდ სარგებელი გაიზარდა თუკი საშუალების დობას საგრძობლად გავზრდით;
- შედარებით არასაკმარისად ანდა საკმაოდ მეტად დობირებულია საშუალება, როდესაც მართალია მისი გამოყენების საერთო სარგებელი აღემატება საერთო დანახარჯებს, მაგრამ უფრო მეტი ან ნაკლები დობირება გაცილებით მეტი სარგებლის მომტანი იქნებოდა;
- საშუალება აბსოლუტურად ზედმეტად დობირებულია, როდესაც საერთო დანახარჯები აღემატება საერთო სარგებელს და დადებითი სარგებლიანობა მოსალოდნელია მხოლოდ მისი უფრო მცირე დობის შემთხვევაში.

როგორც ჩანს შეუძლებელია ზუსტად განვსაზღვროთ ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული საშუალების დობირების ხარისხი. საშუალების აბსოლუტურად არასაკმარის დობირებასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც იგი მიზანზე ზემოქმედებას ვერ ახდენს და მის გამოყენებაზე სახსრები ყოველგვარი უკუგების გარეშე იხარჯება. მინიმალური დობირება მაშინ არის აუცილებელი, როდესაც უნდა აცვდეთ ინდივიდების რეაქციას (ბარიერს), რომელსაც ეს ღონისძიება ეხება. ასეთი ზღურბლის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ძალზე დიდი იქნება ის დანახარჯები, რომლებიც კერძო სუბიექტთა ეკონომიკური მისწრაფებების შეცვლასთან არის დაკავშირებული. უფრო რომ დავაზუსტოთ ეს ეკონომიკურ-პოლიტიკური დაგეგმილი მონაცემების ცვალებადობაზე სუბიექტთა რეაქციების გადალახვას გულისხმობს. ასეთი დანახარჯები კი იზომება მიღწეული შედეგების ან/და იმ დანახარჯების მიხედვით, რომელთა თავიდან აცილება შეიძლებოდა. ასეთი ბარიერი შესაძლებელია წარმოიშვას, როგორც შედეგი იმ სხვაობისა, რაც რეაქციის მოსალოდნელ სარგებელსა და სუბსიდირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს შორის არსებობს. ასევე შესაძლებელია გარკვეული სხვაობა არსებობდეს საგადასახადო განაკვეთებსა და საპროცენტო განაკვეთების ვარიაციებში. ამის მაგალითია ე.წ. წვრილმანი გადასახადები, რომლის დროსაც გასათვალისწინებელია როგორც საკანონმდებლო, სამთავრობო და კერძო დანახარჯები, ისე საგადასახადო შემოსავლები.

შედარებით ან/და აბსოლუტურად არასაკმარის დობი-რებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების მიღებისას არ ითვალისწინებენ ან უგულვებელყოფენ ეკონომიკის კერძო სექტორის გეგმებს. ასეთ შესაძლებლობაზე ნათლად მეტყველებს გადასახადებისადმი მზარდი წინააღმდეგობა. მიზანთან დამოკიდებულებაში სა-შუალების კონფორმულობის შეფასებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, როგორც აქტიური (გადასახადებისათვის თავის არიდება ან მათი უარყოფა, საგადასახადო ბოიკოტი), ისე პასიური წინააღმდეგობის ფორმები (ეფექტიანობის დაცემა). ასეთი არაბუსტი დობირების შედეგია, მაგ., არა-ლეგალური ეკონომიკა, როგორც ჩრდილოვანი ეკონომიკის ნაწილი.

შედარებით ან/და აბსოლუტურად არასაკმარისი დობი-რება საშუალების გამოყენებისას შესაძლებელია გრძელ-ვადიანი ზემოქმედებების გაუთვალისწინებლობამაც გამო-იწვიოს. ამ შემთხვევაში სარგებელსა და ხარჯებს შორის მოკლევადიანი სასურველი თანაფარდობა გრძელვადიან პერსპექტივაში მის საპირისპირო თანაფარდობად გადა-იქცევა. ასეთ საშუალებას კონტრპროდუქტიული ხასიათი აქვს. „ბუმერანგის ეფექტს“ ვღებულობთ მაშინ, როდესაც ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს, როგორც ფართო მოხმარების საქონლის მწარმოებლებს, ხელსაყრელი პირო-ბები ექმნებათ იმით, რომ მათ პროდუქტებზე ფიქსირებული ფასები წესდება, რომლებზეც მსოფლიო ბაზრისათვის დამა-ხასიათებელი ციკლური რყევები გავლენას ვერ ახდენს. მოკლევადიან პერსპექტივაში ამან შეიძლება გამოიწვიოს მწარმოებელთა ეფექტიანობის ზრდა, თუ ფართო მოხმარების საქონელზე ფასების ელასტიკურობა შედარებით დაბალია. გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელია ბუმერანგის ეფექტი მოგვევლინოს იმ ფორმით, რომელიც გულისხმობს (სხვა თანაბარ პირობებში), რომ ფართო მოხმარების საქონ-ლის წარმოება მარტივია და მაღალი ტექნოლოგიების გამო-ყენებით არ იწარმოება. შესაბამისად, სხვა განვითარებადი ქვეყნებიც ერთგვრიან წარმოების პროცესში, რის შედეგადაც მსოფლიო ფასები და წარმოების ეფექტიანობა ეცემა. იგივე ეფექტი იჩენს თავს, როდესაც მიწოდების სიდიდეს ფასების გრძელვადიანი ელასტიკურობის გათვალისწინებით ადგენენ. მოთხოვნის ასპექტით – გამორიცხული არ არის, რომ მაღალი ფასები დადებით ზეგავლენას ახდენდეს სუბსიდირებისა და უკუგების პროცესებზე. აქედან გამომდინარე კი ფასების მიმართ მოთხოვნის ელასტიკურობა მატულობს.

შედარებით ან/და აბსოლუტურად ზედმეტი დობირების კიდევ ერთი შემთხვევა წარმოიშობა, როდესაც საშუალების გრძელვადიანი ზემოქმედება საერთო ზემოქმედებად განი-საზღვრება და მასთან დამოკიდებულებაში ხდება დობირების ზრდა, რაც კონტრპროდუქტიულ ღონისძიებად გვევლინება. როდესაც მოკლევადიან პერსპექტივაში კონიუნქტურა პროგ-რამის განხორციელებაზე საგრძნობ ზეგავლენას ვერ ახდენს, ჩნდება იმის ცდუნება, რომ არსებული პროგრამა „გაუმჯო-

ბესებული“ იქნეს სხვა პროგრამით. როდესაც შედეგის დაყოვნება მოკლევადიანი და სუსტი რეაქციის საბაზად გადაიქცევა, ისე როგორც ყველა კიბერნეტიკული სისტემის შემთხვევაში, თავს იჩენს ხოლმე „გადაჭარბებული“ მართვის საფრთხე. ამ შესაძლებლობასთან ახლოსაა კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც „ჯამურ ეფექტს“ (Tuchtfeldt, 1970a, გვ. 732) უწოდებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებას საქმე ინტერვენციისაგან თავისუ-ფალ სიტუაციასთან კი არა, არამედ მოქმედებისას სხვა ადრე მიღებულ ზომებთან აქვს შეხება. ამიტომ დროთა გან-მავლობაში აუცილებელი ხდება სხვადასხვა სახის დახმა-რება, რომელიც ხელს უწყობს სტრუქტურის შენარჩუნებას ან/და მასზე მისადაგებას აშკარა თუ ფარულ მიზანთან დამოკიდებულებაში. ამას ემატება განაწილების პოლიტიკას-თან დაკავშირებული უამრავი ღონისძიება, რომელთა თანხმლები ზეგავლენები (ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემა) მობილობას აფერხებს. მათი თავიდან აცილება შესაძლებელია იმავე ეფექტების მქონე ზომებით (წარ-მოების შიგნით დისლოკაციის ადგილის შეცვლასთან დაკავშირებული ბარიერები), რომელთა შესახებ წინასწარ თანხმდებიან შრომის ბაზრის მხარეები. კონკურენციის პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები (ვაჭრობის შემღვდვას-თან დაკავშირებული ზომები) დიდ ზიანს აყენებს კონკურენ-ციასთან შესაბამისობისა და მისი განვითარების ფუნქციას. ასეთ ღონისძიებათა „ჯამური ეფექტი“ იმაში მდგომარეობს, რომ იზღუდება თავისუფალი სტრუქტურული ცვლილებების შესაძლებლობა. იგი საწარმოების დახურვასა და სტრუქტუ-რულ უმუშევრობაში გამოიხატება, ვიდრე საქმე სექტორული და რეგიონული რესურსების გადანაწილებაზე მიდგებოდეს. ზოგი ინდივიდისათვის წარსულში განხორციელებული ინტერვენციების „ჯამური ეფექტი“ იგივეა, რაც საბაზრო კოორდინაციისა და სტრუქტურული ცვლილების უარყოფა. ამიტომაც იგი ვერ ხედავს ცალკეულ ღონისძიებასთან დამოკიდებულებაში ხარჯებისა და სარგებლის ხელახლა შეფასებისა და ღონისძიების სხვა ზომით ჩანაცვლების აუცილებლობას.

და ბოლოს, არაბუსტი დობირებას ხშირად ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმილ მონაცემთა ცვალებადობა იწვევს, როდესაც ცალკეული ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების გეგმა ბაზარზე ადაპტირების მეტად დიდ უნარს მოითხოვს. ეს იმას ნიშნავს, რომ გადაფასებულია შესაბამისობის რეაქციების შესახებ აუცილებელი ცოდნა. თუ კვლავაც განვა-გრძობთ მართვის შესახებ არსებული ცოდნის საფუძველზე ღონისძიებათა შეფასებას, დობირებასთან დაკავშირებულ ცდომილებებს ისევ უნდა ველოდოთ.

ცალკეულ საშუალებასთან დაკავშირებულია დობირე-ბის სხვადასხვა ხარისხი. ამიტომ ოპტიმალური დობების შემთხვევაში სხვადასხვა საშუალებას შორის შედარების შესახებ ჯერ კიდევ არაფერია ნათქვამი. იგულისხმება ყველა სხვა ინსტრუმენტი, რომელთა საშუალებითაც პრინციპულად

შესაძლებელია იმავე მიზნის მიღწევა. ასეთი შედარება კი მიზანშეწონილია, როდესაც კონკურენციული ღონისძიებები იერარქიულად ლაგდება მათი საერთო სარგებლიანობის მიხედვით. საქმე ეხება იმ სარგებელს, რომელიც ნებისმიერ დროს მიიღწევა ოპტიმალური დოზირების შემთხვევაში. ასეთი შეფასება ყოველთვის ნაწილობრივია, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს ინსტრუმენტთა შორის კომბინაციების შესაძლებლობას. ასეთი კომბინაციებიდან კი იმას უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რომელიც ყველაზე მეტ სარგებელს გვპირდება. საშუალების შეფასება ასეთი კომბინაციების გათვალისწინების გარეშე ვერასოდეს მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე, ღონისძიების ოპტიმალურ დოზირებამდე. მართვის ცოდნისა და აუცილებელი შეფასებისადმი წაყენებული მოთხოვნები იზრდება. ეს ხდება მაშინ, როდესაც ღონისძიების ნაწილობრივი შეფასების ნაცვლად აუცილებელი ხდება ცალკეული კონკურენციული საშუალების კომბინაციების შეფასება. იგი უნდა განხორციელდეს საშუალებისა და მიზნის მეტ-ნაკლებად მომცველი სისტემების ან/და ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამების შედარების გზით. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება პრობლემა იმის შესახებ, თუ რამდენად არის შესაძლებელი მოქმედების წესრიგის ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება.

ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციები დაყოვნების პრობლემას ხვდებიან, როგორც თავიანთი ზეგავლენის სფეროში (ენდოგენური დაყოვნებები), ისე ამ სფეროს გარეთ (ეგზოგენური დაყოვნებები). გარდა ამისა, საშუალების მოქმედებას ახასიათებს საერთო დაყოვნებები, რომლებიც მისი გამოყენების პროცესს თავიდან ბოლომდე გასდევს. ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციისათვის დამახასიათებელია ის საერთო დაყოვნება, რომელიც შემეცნებას უკავშირდება და ხშირად ეგზოგენური დაყოვნების ფორმა აქვს. იგი შედგება:

- ალქმის დაყოვნებისაგან, რისი მიზეზიც ის არის, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ცდომილებებზე დაკვირვება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ხდება შესაძლებელი;
- კომუნიკაციის დაყოვნებისგან, რომელიც გულისხმობს, რომ ცდომილების შესახებ ინფორმაციის მომზადებასა და გადაცემას გარკვეული დრო ჭირდება.

მოვლენათა მეორე ჯგუფს წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციისათვის შინაგანად დამახასიათებელი დაყოვნებები:

- დიაგნოზის დაყოვნების მიზეზი ის არის, რომ მიღებული ინფორმაციის შეფასებისა და ცდომილების ანალიზისათვის აუცილებელია გარკვეული დრო;
- დაგეგმვასთან დაკავშირებული დაყოვნება იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამის შედგენა გარკვეულ დროს საჭიროებს;
- გადაწყვეტილების დაყოვნებაც იმ დროსთანაა დაკავშირებული, რომელიც აუცილებელია მოქმედების შესაძლებლობათა შესაფასებლად.

განხორციელების დაყოვნება თავს იჩენს პროგრამის

ხორცშესხმის პროცესში, როდესაც მიმდინარეობს საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

საშუალების გამოყენება და მის შესახებ ინფორმაცია ცვლის კერძო სუბიექტების პოზიციებს და იწვევს მათ განსხვავებულ რეაქციას. ამის შედეგად წარმოშობილ დაყოვნებებს გარეგან დაყოვნებათა ფორმა აქვს და შემდეგი ელემენტებისაგან შედგება:

- პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, მის შემდეგ წარმოშობილი დაყოვნება, რომელიც ღონისძიების დასრულების შემდეგ და მიზანზე პირველ ზემოქმედებამდე იჩენს ხოლმე თავს;
- პროცესით განპირობებული დაყოვნებები, რომლებსაც იწვევს ის, რომ პროცესის დასრულების შემდგომი დაყოვნებები მყისიერად არ წარმოიშობა. ისინი ჩნდება გარკვეული დროის შემდეგ, სანამ მიზანზე საერთო ზემოქმედება მოხდება.

კულტურის ფაქტორი ეკონომიკურ პოლიტიკაში და გრძელვადიანი მაკროეკონომიკური პარამეტრების მიზნობრივი ორიენტაცია

ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების კონტექსტში ქვეყნის გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების განსაზღვრის პროცესში ფრიად მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური პარამეტრების მიზნობრივი ორიენტაციის უზრუნველყოფა. ამასთან ერთად გათვალისწინებულია კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს მიღწეული დონე, სამეწარმეო საქმიანობის და ზოგადად ბიზნესგარემოს მდგომარეობა, კულტურის მახასიათებლების თავისებურებები (Bedianashvili, 2020).

გრძელვადიანი განვითარების პოზიციებიდან გამომდინარე, ქვეყნის მიზნები მოსახერხებელია წარმოდგეს მიზნობრივი კომპლექსის სახით, რომელიც შედგება ოთხი ურთიერთდაკავშირებული დონისგან (Bedianashvili, 1984).

პირველ დონეზე მოცემულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნქციური მიზნები. მიზნების ეს დონე ჩამოყალიბდება სოციალურ-ეკონომიკური სისტემის თვისებებიდან გამომდინარე და წარმოადგენს მიზნების ზოგადი ფორმულირებების და მათი დამაკონკრეტებელი ქვემიზნების სტრუქტურირებულ მთლიანობას (მიზნების კონკრეტობის ტექნოლოგიის შესახებ იხ., მაგალითად: Bedianashvili, 2020). ზოგადი მიზანი ჩამოყალიბდება როგორც „ქვეყნის კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარება“, რომელიც ზედა დონეზე ჩაირთავს შემდეგ ქვემიზნებს: „მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხელშეწყობა“, „სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება და სრულყოფა“ (სტრუქტურული მიზნები), „გარე მიზნები“ (ქვეყნის მიზნები, გამომდინარე გლობალურ და

ლოკალურ გარესამყაროსთან ეფექტიანი ურთიერთობების მოთხოვნებიდან, უსაფრთხოების ასპექტების გათვალისწინებით), „მომავლის პოტენციალის შექმნა“ (მიზნები, რომლებიც გულისხმობენ მომავალი თაობებისთვის და ქვეყნის განვითარების განსახილველი გქელვადიანი დროითი ჰორიზონტის მიღმა საჭირო პოტენციალის არსებობის უზრუნველყოფას). ფუნქციური მიზნების შემდგომი დეტალიზაცია შეიძლება განხორციელდეს სისტემური სტრუქტურის მეთოდებით (იხ, მაგალითად: Bedianashvili, 1979).

მიზნების გემოლინიშნული ფუნქციური სისტემის შემდგომი გამოყენებისთვის საჭიროა განისაზღვროს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ცალკეული მიზნის რეალიზაციის მნიშვნელობების შეფასებები (მათი განსაზღვრისათვის გამოიყენება ექსპერტული შეფასებების მეთოდები). ცხადია, რომ მათში ასახვას პოულობენ შესაბამისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონეები, ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ქვეყანაში ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების არსებული მექანიზმი (ინსტიტუტები) და საზოგადოების ფასეულობითი ორიენტაციების თავისებურებები - კულტურის ცალკეული პარამეტრების არსებული სპეციფიკა.

მიზნობრივი კომპლექსის მეორე დონეზე მოცემულია პირველი დონის ფუნქციური მიზნების დამამთავრებელი ქვე-მიზნების რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები, როგორცაა ფუნქციური მიზნობრივი ნორმატივები (FGN), მიზნობრივი მოთხოვნები და მიზნობრივი ინდიკატორები (შესაბამისი დამამთავრებელი მიზნების ჭრილში). ყოველი მიზნისათვის FGN-ის თავისებურებაა ის, რომ იგი წარმოადგენს ერთობლიობას მაჩვენებლებისა, რომლებიც შინა-არსობრივად შესაბამისიან მიზნის რეალიზაციის სხვადასხვა არსებით ასპექტს, რაოდენობრივად კი - მის სასურველ დონეს. მიზნობრივი მოთხოვნები წარმოადგენენ მიზნების რეალიზაციის სასურველი დონის სიტყვიერ დაზუსტებას, თუ შესაბამისი მიზნისთვის შეუძლებელია ცალსახა რაოდენობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა. მიზნების ინდიკატორები კი არიან მაჩვენებლები, რომლებიც შინაარსობრივად ირიბად ასახავენ შესაბამისი მიზნის რეალიზაციის დონეს იმ პროცესებისთვის, რომლებიც არ ექვემდებარებიან პირდაპირ მმართველობით ზემოქმედებას.

განხილული ფუნქციური მიზნების არსებითი თავისებურებაა მათი გრძელვადიანი ხასიათი, რაც მიიღწევა იმით, რომ ცალკეული მიზნის და მოთხოვნილების ფორმულირება ხდება შესაბამისი ობიექტები ფუნქციების ენაზე. ფუნქციები, როგორც ცნობილია, დროის განმავლობაში, განსხვავებით საგნობრივი მოთხოვნილებებისაგან, შედარებით მდგრადია.

მიზნობრივი კომპლექსის მესამე დონეზე მოცემულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის პრობლემები (ე.წ. მიზნები-პრობლემები). მიზნები-პრობლემები ცალკე გამოიყოფა შესაბამისი მიზნების რეალიზაციის პრობლემურობის ნიშნის მიხედვით და მათი რეალიზაცია დაკავშირებულია

რებულია სპეციალურ ღონისძიებებთან. მესამე დონის მიზნები წარმოადგენენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ცალკეული პრობლემების გადაჭრისათვის პროგრამების შემუშავების საფუძველს. ცხადია, რომ მიზნების კომპლექსის პრობლემურ დონეზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოცემულ ეტაპზე საზოგადოების კულტურის მაჩვენებელთა სპეციფიკა.

მეოთხე დონეზე წარმოადგენილია საგნობრივი მიზნობრივი ნორმატივები (SGN), არსებითად განსხვავდებიან FGN-გან და წარმოგვიდგენენ მიზნების რეალიზაციის სასურველ დონეს კონკრეტული საგნებისა და მომსახურების ენაზე. ისინი იძლევიან საშუალებას განისაზღვროს მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ქვეყნის ეკონომიკის სექტორების მიხედვით, მათ შორის გარე კავშირების გათვალისწინებით. მიმდინარე (მოცემული მომენტისთვის) მიზნის მიღწევის დონე შეიძლება დახასიათდეს შესაბამისად ფუნქციური (FGL) და საგნობრივი (SGL) მიზნობრივი მაჩვენებლებით.

მიზნობრივი კომპლექსის საფუძველზე შეიძლება აიგოს მიზნობრივი ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნების რეალიზაციის მაქსიმალურ მიახლოებას მის სასურველ დონესთან:

$$\sum_{i \in I_f} \sum_{t \in T} \alpha_i \|G_{il}^{(t)}\|^2 + \sum_{i \in I_n} \sum_{t \in T} \alpha_i \|Y_{il}^{(t)}\|^2 \rightarrow \min$$

სადაც: α_i - მიზნების რეალიზაციის მნიშვნელობათა

შეფასებები; $G_i^{(t)}$ - ფარდობით შეუსაბამოთა

$1 - g_{il}^{(t)} / g_{in}^{(t)}$ ვექტორია, შესაბამისად FGL და FGN

მიმართ; $Y_{il}^{(t)}$ - ფარდობით შეუსაბამოთა $1 - y_{il}^{(t)} / y_{in}^{(t)}$

ვექტორია, შესაბამისად SGL და SGN მიმართ; $\|G_{il}^{(t)}\|$, $\|Y_{il}^{(t)}\|$

$-G_{il}^{(t)}$ და $Y_{il}^{(t)}$ ვექტორების ნორმა; I_f - ფუნქციური

მიზნების სიმრავლე; I_n - მიზნების სიმრავლეა, რომელთაც

აქვთ მხოლოდ საგნობრივი მახასიათებლები; T -

განსახილველი გრძელვადიანი პერიოდი.

მიზნებს შორის ურთიერთმოქმედება შეიძლება გამოიხატოს

ეკონომეტრიკული მოდელის სახით:

$$G^{(t)} = \sum_{\sigma=0}^{\bar{\sigma}} A^{(t-\sigma)} G^{(t-\sigma)} + C^{(t)} R^{(t)} + D^{(t)} P^{(t)} + U^{(t)},$$

სადაც: $G^{(t)}$ - მიმდინარე FGL მნიშვნელობათა ვექტორია;

$R^{(t)}$ - ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნების რეალიზაციისათვის საჭირო რესურსების ვექტორია;

$P^{(t)}$ - „ისტრუმენტული“ პარამეტრების ვექტორია; $U^{(t)}$ -

შემთხვევით შემფთობებათა ვექტორია; $A^{(t-\sigma)}$, $D^{(t)}$, $D^{(t)}$ -

კოეფიციენტების შეფასებათა მატრიცა; $\bar{\sigma}$ - სოციალურ-

ეკონომიკური განვითარების მიზნებს შორის

ურთიერთმოქმედების მაქსიმალური ლაგია.

ზემოაღნიშნული მიზნობრივი კომპლექსის სისტემური წარმოდგენა და ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესში ასახვა განსაკუთრებით აქტუალური ხდება განვითარების საგანგებო სიტუაციებში და გაზრდილი გაურკვევლობის პირობებში (Bedianashvili, 2021). ცოდნის ეკონომიკა (Bedianashvili, 2018) და ციფრული ტექნოლოგიები (Bedianashvili & Maglakelidze, 2020) იძლევიან საშუალებას უფრო ადეკვატურად და უკეთესი მიზნობრივი ორიენტაციით განხორციელდეს გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის ჩამოყალიბება (Bedianashvili, 2013)

დასკვნა

დღობრებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული პრობლემა ჩნდება, როდესაც ყოვნიან ეკონომიკური პოლიტიკის საშუალების გამოყენება ან მისი ზემოქმედება. ეკონომიკური ასპექტით დაყოფნებს ყოველთვის იწვევს ტექნიკური, ინსტიტუციური და ქცევასთან დაკავშირებული კონფლიქტები. ტექნიკური დაყოფნა ნიშნავს იმას, რომ საშუალების გამოყენება ეფექტი გარკვეული დროის შემდეგ მოჰყვება. ქცევასთან დაკავშირებული დაყოფნა გულისხმობს იმ ვითარებას, რომელიც გადაწყვეტილების მომზადებასა და გატარებას უკავშირდება. ეს პროცესი განპირობებულია ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებების გამტარებელთა ქცევის დაყოფნით.

ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციებისათვის დამა-

ხასიათებელი დაყოფნები განსხვავებული ელემენტებისაგან შედგება, ვიდრე კერძო სექტორისთვის დამახასიათებელი ანალოგიური დაყოფნები. კერძო სექტორის შემთხვევაში საქმე ეხება კერძო სუბიექტების რეაქციებს ეკონომიკური პოლიტიკის ცვალებადობაზე. ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციების შემთხვევაში – შემეცნებასთან, ინსტანციებთან და ზემოქმედებასთან დაკავშირებული დაყოფნები მანამ წარმოიშობა, ვიდრე საშუალების გამოყენება ზემოქმედება მოჰყვება. ამიტომაც აუცილებელია პროგნოზირება, რომელიც ინფორმაციას გვაწვდის იმის შესახებ, თუ რა ვითარება ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემასთან დაკავშირებით დროის მოცემულ მომენტში. ამ სიძნელის უგულვებელყოფა ან მისი მცდარად შეფასება ეკონომიკური პოლიტიკის კონიუნქტურის სფეროში იმას ნიშნავს, რომ სტაბილიზების მიზნით გატარებულმა ღონისძიებამ მარცხი განიცადა.

ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესში ქვეყნის გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განსაზღვრისას მაკროსისტემურ დონეზე მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური პარამეტრების მიზნობრივი ორიენტაციის უზრუნველყოფა. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს მიღწეული დონე, სამეწარმეო საქმიანობის და ზოგადად ბიზნესგარემოს მდგომარეობა, კულტურის მახასიათებლების თავისებურებები, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების არსებული მექანიზმი (ინსტიტუტები) და საზოგადოების ფასეულობითი (ღირებულებითი) ორიენტაციების თავისებურებები.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

- Bedianashvili, G.** (2021). Macroeconomic and Cultural Determinants of the COVID-19 Pandemic Crisis. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 15 (2): 191-197.
- Bedianashvili, G., Maglakelidze, A.** (2021). The Digital Economy and Business in the Conditions of Pandemic. Conference Materials: *Social Sciences for Regional Development 2020*. Daugavpils University. Part III. Issues of Economics: 26-37.
- Bedianashvili, G.** (1984). The Goal Aspect of the Long-Term Socio-Economic Development of Region. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*. 113 (1): 189-192 (In Russian).
- Bedianashvili, G.** (2018). Knowledge Economy, Entrepreneurial Activity and Culture Factor in Modern Conditions of Globalization: Challenges for Georgia. *Globalization and Business*, 5: 32-37.
- Bedianashvili, G.** (2013). Strategy of Long-Term Socioeconomic Development of the Country: Issues of Methodology. Conference materials: *Actual Problems of Economies of Post-Communist Countries at Current Stage*. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Paata Gugushvili Institute of Economics, Georgia, Tbilisi.:121-125 (In Georgian).
- Boehm, E.** (1966), Privatrechtsgesellschaft Und Marktwrtschaft Ordo 17, S.75-151. P. 80
- BOULDING, K.E.** (1962), Knowledge as a Commodity; Wiederabgedruckt In Ders. (Hrsg.): Beyond Economics – Essays on Society, Religion, And Ethics, Ann Arbor 1968, P.141-150
- Dahl, R.A.** (1963), Die Politische Analyse (Uebersetzung Von „Modern Political Analysis,“ Englewood Cliffs), Muenchen 1973, P. 62.
- Gapriandashvili, G.** (2017). “The Role of Government’s Economic Policy In Country’s Economic Development”, Journal Association 1901 “SEPIKE”, Social Educational Project Of Improving Knowledge In Economics. Vol. 18, Pp.121-127.
- Gapriandashvili, G.** (2019). The Results of State Procurement Reforms In Georgia, 2nd International Conference On Business, Management And Economics. Vienna, Austria, Pp.213-225
- Gapriandashvili, G.** (2020) STATE PROCUREMENT ASPECTS IN GEORGIA , Ecoforum Journal, Volume 9, Issue 1.

- Gvelesiani R., Gogorishvili I.** (2014), The Basic Problems For The Realization Of The Concept Of Economic Policy. XII International Conference On Economics And Management, International Science Index, Vol. 8. No 11; November 10-11, Madrid, Spain, P. 532-535.
- Gvelesiani R.** (2015a), Intrinsic Contradictions of Entrepreneurship Development And Self-Development, XIII International Conference On Economics, Business And Marketing Management, International Science Index, Eissn: 1307-6892, Vol: 9 No:3, March 26-27, Madrid, Spain, P.1344-1346.
- Gvelesiani R.** (2015b), The Influence Of Interest Groups On Economic Policy And Its Contradictory Results, Journal Of Academy Of Business And Economics, IABE, Volume 15, № 2, ISSN: 1542-8710, Roma Tre University, Italy, Editor: South Stockholm University, Sweden, P.35-40.
- Gvelesiani R.** (2016a), Individuals and Economic Group's Interests and Behaviour in the Economic and Political Decision-Making Process, European Journal of Business Research (EJBR), IABE, Volume 16, №1. ISSN: 1945-2977, University of Pisa, Italy, Editor: Johannes Kepler University Linz, Austria, P. 97-103.
- Gvelesiani R.** (2016b), Strengthening of the Tendency Towards Social Entrepreneurship as a Demonstration of the Potential for the Improvement of Modern Society's Moral Characteristics, International Journal of Strategic Management (IJS), IABE, Volume 16, № 2, ISSN: 1555-2411. University Of Florence, Italy, Editor: Trinity Western University, Canada, P. 17-22.
- Gvelesiani R.** (2017a), Possibilities of Implementing the Practical Economical Politics Rationally, European Journal of Business Research™ (EJBR), Volume 17, №2, ISSN: 1945-2977, Dx.Doi.Org/10.18374/EJBR-17-2.3, New York Institute Of Technology, USA, Editor-In-Chief: Professor Christine Duller, Johannes Kepler University Linz, Austria, P.25-30.
- Gvelesiani R.** (2017b), Social Inequality – The Revealing Form of Conflicts Among the Main Societal Values, Journal of International Management Studies (JIMS), Volume 17, #1, ISSN: 1930-6105, University of Sassari, Italy, Editor: Trinity Western University, Canada, P.59-64.
- Gvelesiani R.** (2017c), The Problem of Considering Possible Consequences of The Consistent Reforms in The Economic-Political Decisions, Review of Business Research (RBR), Volume 17, №2, , ISSN: 1546-2609, University Of Sassari, Italy, Editor: University Of Osijek, Croatia, P.19-24.
- Gvelesiani R.,** (2020a). Contradictory Interdependence Between The Goals Of Economic Policy And Assessment of Its Expected Results, ISSN: 2344-2174, Ecoforum, Vol. 9, No 3.
- Gvelesiani R.,** (2020b). The Problem of Compatibility of Economic Policy Objectives, Instruments and Order Policy Principles, ISSN: 2344-2174, Ecoforum, Vol. 9, No 3.
- Gvelesiani, R.** (2020c). Contradictions of Public Values – Origin of Conflict of Interests, ISSN: 2344-2174, Ecoforum, Vol. 9, No 2, 2020, Stefan Cel Mare University Of Suceava, Romania. File:///C:/Users/User/Downloads/1084-3445-1-PB.Pdf
- Gvelesiani, R.** (2020d). Formation of the Innovative Entrepreneurship Culture: Capabilities and Problems, ISSN: 2344-2174, Ecoforum, Vol. 9, No 1, 2020, Sttefan Cel Mare University of Suceava, Romania. <http://www.Ecoforumjournal.Ro/Index.Php/Eco/Index>
- Gvelesiani, R.** (2021). Problems of the Optimal Use of Economic Policy Instruments. *Ecoforum*, Vol. 10, No 2. <http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/1250/756>
- Hayek, F.A.** (1960), The Constitution of Liberty, Neudruck, London U.A. Wiederabdruck In: BOSCH, A. Und R. VEIT Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. B3, Die Verfassung Der Freiheit, Tuebingen 2005, P.134.
- Hayek, F.A.** (1979), Law, Legislation And Liberty, Volume III – The Political Order Of A Free People, Chicago, London, Wiederabdruck In: VANBERG, V. (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. B4, Recht, Gesetzgebung Und Freiheit, Tuebingen 2003. P. 128.
- Hayek, F.A.** (2003), Rechtsordnung Und Handelsordnung, In: STREIT, M. E. (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. A4, Rechtsordnung Und Handelsordnung, Tuebingen. P. 217.
- Hayek, F.A.** (2004), Der Weg Zur Knechtschaft, In: STREIT, M. E. (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. B1, Tuebingen.
- Jonas, H.** (1979), Das Prinzip Verantwortung, Nachdruck, Frankfurt A. M, 2003. P.294; 393.
- Kirsch, G.** (1977), Technischer Fortschritt III – Foerderung Durch Die Oeffentliche Hand, In: Handwoerterbuch Der Wirtschaftswissenschaft, Bd. 7, Stuttgart, New York, S.609-620.
- Mestmaecker, E.-J.** (1975), Wirtschaftsordnung Und Staatsverfassung; In Ders. Und H. SAUERMAN (Hrsg.): Wirtschaftsordnung Und Staatsverfassung (Festschrift Fuer Franz Boehm Zum 80. Geburtstag), Tuebingen, P.383-419).
- Mill, J.S.** (1859), On Liberty; In Ders.: Utilitarianism, Liberty, Representative Government, Neuauflage, Hrsg. V. H. B. ACTON, London 1972, P. 75.
- Samuelson, P.A. Und Solow R., M.** (1960), Analytical Aspects Of Anti-Inflation Policy. American Economic Review 50, Papers and Proceedings, P. 177-194.
- Streit, M. E.** (2005), Theorie Der Wirtschaftspolitik, 6. Auflage, Stuttgart, S. 307; 309; 310.
- Tuchtfeldt, E.** (1970a), Ueber Unerwunschte Nebenwirkungen Wirtschaftspolitischer Mssnahmen. Kyklos 23, S. 720-735.
- Tuchtfeldt, E.** (1982), Wirtschafspolitik, In: Handwoerterbuch Der Wirtschaftswissenschaft, Bd. 9, Stuttgart U. A., S. 178-206.
- Weber, M.** (1921), Wirstchaft Und Gesellschaft, 5. Rev. Aufl., Studienausg., Nachdruck, Tuebingen, 2002. P. 28

JEL Classification: J11, J10, I10, I15, I18

<https://doi.org/10.35945/gb.2021.11.003>

REGIONAL PECULIARITIES OF THE PANDEMIC IN GEORGIA AT THE INITIAL STAGE OF THE CORONAVIRUS

AVTANDIL SULABERIDZE

Doctor of Economic Sciences, Professor

The Institute of Demography and
Sociology Ilia State University, Georgia,
Academician of the Georgian
Academy of Economic Sciences, Georgia
sulaberidzeavtandil@gmail.com

NINO GOMELAURI

Associated Researcher

The Institute of Demography and
Sociology Ilia State University, Georgia
nino.gomelaury@iliauni.edu.ge

JOSEPH ARCHVADZE

Academic Doctor of Economics, Professor

Kutaisi University,
The Institute of Demography and
Sociology Ilia State University, Georgia
daswreba@yahoo.com

We have to urgently reexamine our views about the world
Albert Camus, "The Plague"

Abstract. Aspects of behavior and functioning of every state, social institute, human are rapidly changing in the modern world. The pandemic occurring at the current stage of societal life has had an essential impact on the development of the society. This was reflected in the changes of humans' sociological, economic, psychological, educational, cultural and other types of behaviors. In the fight against the global pandemic we notice a societal regress and therefore a wide study of the societal losses caused by the pandemic and coming up with preventive measures on the global as well as regional scale occupy an important place on today's agenda. Gradually, an opinion to the effect that the world will change and never be the same takes root in a society. Consequently, scientists must answer the following questions coming from the society: how will the coronavirus develop and reach its end, will there be other waves of the virus and how much more dangerous can they be compared to the first one? What will be the new format of the fight against it? How will economy, education, science and culture develop? What kinds of risks and threats are expected to rear up in the world, on its certain continents, countries, etc.? The issue is all the more pressing and urgent not only because of the display of the pandemic's peculiarities today and in the previous period with regard to various fields of societal development, but also as a result of the need to analyze the possible scenarios and trends of the post-pandemic period in regional perspective. The above-mentioned indicates the necessity of establishing the newest interdisciplinary field of science – pandemology. The fact of the matter is that as opposed to the existing science field of epidemiology, the research object of pandemology is broader and is derived from the global character of pandemics. Epidemiology belongs to the sphere of medicine whereas pandemology has to study not only medical domain but also the consequences caused by economic, demographic, sociological, psychological and other types of behavioral changes itself occasioned by the pandemic on the global scale as well as differentially, according to certain continents and countries. In this regard, we present regional peculiarities of the results of a research conducted in some fields of pandemology, namely, sociology of pandemics and economy of pandemics in Georgia at the initial stage of the coronavirus. Against the background of risk perception and knowledge of the threat of pandemic, the article discusses the self-preservative preventive behavior of the population. It further analyzes the results of the population's self-caring and economic behavior under those social-economic conditions which are brought about by the pandemic.

KEYWORDS: PANDEMOLOGY, REGIONAL PECULIARITIES, CORONA SOCIOLOGY, CORONA ECONOMICS, ECONOMIC AND SELF-PRESERVATIVE BEHAVIOR.

For citation: Sulaberidze, A., Archvadze, J., Gomelaury, N. (2021). Regional Peculiarities of the Pandemic in Georgia at the Initial Stage of the Coronavirus. *Globalization and Business*, №11, 25-34. <https://doi.org/10.35945/gb.2021.11.003>

INTRODUCTION

In our opinion, due to the specific character of the qualitatively new pandemic, there should be established pandemology as the newest field of science with its relevant

special disciplines. The urgency of the establishment of pandemology as a scientific discipline is strengthened by the opinion of medics, who believe the 21st century to be the era of epidemics and pandemics. Therefore, other types of epidemics and pandemics with different designations might surface

in future. However, using the knowledge accumulated as a result of studying pandemology, we will be better prepared to face new massive viral infections and accordingly, societal losses will be reduced to a minimum.

Regionalism, general theory of pandemology and the methods of its various fields¹ in tandem with sociological, psychological, demographic and economic methods of analysis appear to constitute the main theoretical-methodological basis for studying a pandemic. Together with the formulated theories in certain fields of societal science in previous years, the main theoretical-methodological basis of the general theory of pandemology itself is built upon the theories of epidemiological (Omran, 1971) and health transition (Tsuladze, ..., 2015) and the concept of pathocenosis (Grmek, 1994) which were advanced after the 70s of the twentieth century. If the previous two theories are directed at explaining century-old and large scale evolutionary changes in morbidity and mortality, the theory of pathocenosis, in contrast, more or less, specifies the results of the spread of epidemics and pandemics in relatively short historical periods and presents the losses caused by the various types of pathocenosis in certain periods of mankind's existence.

It is noteworthy that the periodization of all three theories is, more or less, similar to each other, which makes it easier to study pandemics. With the help of these theories, apart from the historical study of the previous pandemics, we can answer the questions concerning the current pandemic: how will the pandemic develop and what risks and threats are to be expected? Determine the periodicity of repetition and mutation prognosis, what kind of fight management format must be employed against it, etc.

Since 2020 in Georgia as well as throughout the world certain fields of science started to deal with the issue of the pandemic (coronavirus) by putting forth articles and researches. In this regard, within the scientific works of economists we cannot see economic views related to Coronavirus. V. Papava and V. Charaia (Papava, ..., 2020) state that until now the economists have been studying the impact of an economic crisis on health care system generally. The present situation in the world has cast the issue in a different light, namely, that Coronavirus and its global spread is already causing a large-scale economic crisis (Geller, 2020), and that Coronavirus has practically transformed into the "economic pandemic" (Riley, 2020). In their opinion, the relevancy of Coronanomics determined not only by the fact that today we have a full-blown declared Coronavirus pandemic, but also that these types of global threats, supposedly, will not be accepted in the future and under these conditions, the world must learn to live and continue its economic activity (Gigerenzer, 2020).

The works of the Georgian economists are related to

the problems of Coronaeconomics. These are the mentioned scholars: V. Papava (Papava, 2020), A. Tvalchrelidze and A. Silagadze (Tvalchrelidze, Silagadze, 2020), E. Mekvabishvili (Mekvabishvili, 2020), R. Abesadze (Abesadze, 2020), M. Jibuti (Jibuti, 2020), V. Charaia (Charaia, 2020), G. Bedianashvili (Bedianashvili, 2020) and others.

Interesting researches were carried out in the direction of the sociology of the pandemic (Beck, 2020, Cohan, 2020, Prince Kennex R. Aldama 2020, Capriano, 2020, Fitzpatrick, 2020 and others).

DATA AND METHODS

The aim of the sociological research conducted by the Iliia State University's Institute of Demography and Sociology in October, 2020 was to study the levels of awareness, self-preserving and social-economic behavior of the population in Georgia and some of its cities with regard to the coronavirus pandemic and furthermore, to assess the impact of the pandemic on the social-economic situation of the Georgian population.

Under conditions of a pandemic it is of special significance for a healthcare system to work without a hitch, the share of the aged and elderly within a demographic structure (level of demographic aging) and health condition of a population are also important. The totality of all three factors significantly determines the risk of becoming infected and lethality of the virus. As a consequence, all of these factors were taken into consideration during the research of the pandemic. In view of the research methodology, along with a sociological questionnaire, we have used an in-depth interview. The following cities were selected: Tbilisi (a big city), Kutaisi (a medium-sized) and Khashuri (a small city). During the selection process we took into account the current level and risks of the spread of the coronavirus, seasonality (tourism and resort period), demographic-geographical factors (sex-age structure and the level of demographic aging, migration, distance between the populated areas, etc.). As a result of the above, the number of the respondents was determined to amount to 500 individuals, among whom we interviewed 250 in Tbilisi, 150 in Kutaisi and 50-50 respondents in Batumi and Khashuri. Considering the risk of the coronavirus's spread rate, the respondents were selected from three aggregate age groups: below 21 years of age – 20.4%, between 21-60 years of age – 58.5% and above 60 – 21.1%.

The majority of the interviewed people were women – 57.7%. The interview was anonymous and we adhered to the recommendations of the Georgia's Ministry of Health (social distancing and necessity of wearing masks). One of the hindrances to the research was the election period (5-15 October).


RESULTS OF THE RESEARCH

Some corona sociological aspects of the population's self-preservative behavior

One of the factors of the spread of the pandemic is deemed to be self-preservative behavior of a population,

¹ Science fields of the interdisciplinary pandemology are distinct and thus, together with their general methods of research, they have their own specific methods and methodology. For example, economics, sociology, demography, psychology, geography, etc. of pandemic. This enables us, with regard to certain fields and periods, to manifest and analyze general as well as specific peculiarities of the pandemic and formulate preventive measures of management for possible future pandemics and epidemics (Sulaberidze A. 2020).

Figure1. Distribution of the interviewed individuals according to the 5 point system as per the aggregate age groups of the respondents and cities



which much determines their health condition. Accordingly, our object of interest, first and foremost, was the general health condition of the interviewed respondents at the initial stage of the coronavirus which we assessed using a five-point system: 1 - Very bad; 2 - Bad; 3 - Medium; 4 – Good; 5 – Very good. Figure 1 makes it clear that, from the standpoint of the health condition of the respondents, the age group below 21 years of age gave the best assessment. Their health condition indicator is the highest (5 points). Tbilisi stands out especially, after which followed Kutaisi and Batumi. It must be noted that the sum of 4 and 5 point health indicators in Batumi significantly exceeds the analogous indicator in Tbilisi and Kutaisi. As regards the respondents from Khashuri, even the small number of the selected individuals within the mentioned age group found it difficult to self-assess their own health condition.

As opposed to this age group, it is striking, in contrast to individuals from the other cities, that the indicator of self-assessment is low (3 points) among those aged from 21 to 60 of Khashuri. Moreover, if their self-assessment is quite high on the 3-point level as compared to the analogous indicator of the other cities, we cannot say the same for the indicators of Khashurians on the 4 and 5-point levels, which are relatively low in comparison with the other cities, especially on the 5-point level.

It is known that, under conditions of a pandemic, the elderly individuals belong to the group with the highest risk of potential infection. In this regard, following the results of the interview aimed at individuals aged above 60, those from Batumi emerged to have the smallest risk of becoming infected. The biggest and medium indicators of self-assessment of their health (5 and 3 points respectively) were the highest. It

Table 1. Self-assessment of their health by the respondents using the 5-point system, according to sexes and regions (%)

	5-point system of self-assessment					Total
	1	2	3	4	5	
Total number of the interviewed individuals	2.4	7.5	18.2	37.4	34.4	100.0
	Male					
Tbilisi	2.9	7.4	16.9	43.4	29.4	100.0
I. ხელფასი. პროგრესული ქვეყნების მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურაში ხელფასის წილი საკმაოდ მაღალია და 60-70%-ს აღწევს. კერძოდ: იაპონიაში 69%, ინგლისში 65%, გერმანიაში 64% (Global, 2018). სუსტი ლეგალური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში უმნიშვნელოა და შეიძლება 20-30%-იც ვერ შეადგინოს.

ხელფასის სიდიდე განისაზღვრება:

ა. მოცემულ საბაზრო სეგმენტზე კონკრეტულ პროფესიაზე მოთხოვნა-მიწოდების საბაზრო ძალებით. არსებობს განსხვავება კვალიფიციურ (საჭიროებს სპეციალურ განათ-

ლებას მაგალითად ექიმი, მენეჯერი და ა.შ.) და არაკვალიფიციურ (დარაჯი, დამლაგებელი) შრომას შორის;

ბ. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონით. მაგალითად, ხელოსანმა ან სხვა პროფესიის ადამიანმა, ერთი და იგივე საქმის შესრულებისთვის, გერმანიაში და ნიგერიაში შეიძლება მიიღოს საკმაოდ განსხვავებული ანაზღაურება;

გ. ხელფასის სიდიდეზე მოქმედებს აგრეთვე ისეთი ფაქტორები, როგორცაა სამუშაოს პრესტიჟულობა. მაგალითად, შოუ ბიზნესის ვარსკვლავებს და პრიზიორ სპორტსმენებს გააჩნიათ მაღალი ანაზღაურება. გამრდილი ხელფასი შეიძლება ჰქონდეთ ღამის ცვლაში და დღესასწაულებზე მომუშავეს. აგრეთვე სხვადასხვა საფრთხეებთან (კასკადიორებს) და კრიზისულ სიტუაციებში გარკვეულ რისკთან დაკავშირებული სამუშაოებზე დასაქმებულებს.

საკმაოდ განსხვავებულია ანაზღაურება სხვადასხვა ეკონომიკური განვითარების დონის ქვეყნებს შორის ერთი და იგივე პროფესიის მოსახლეობაში. მაგალითად, თუ საჯარო სკოლის პედაგოგის საშუალო ანაზღაურება, საქართველოში, 800-1000 ლარია. აშშ იგივე კვალიფიკაციის მასწავლებლის ანაზღაურება 2-3 ათას დოლარს შეადგენს. განსხვავებას ადგილი აქვს არა მარტო სხვადასხვა ქვეყნებს შორის არამედ ქვეყნის ფარგლებშიც.

დიდი შესაბამობაა ხელფასსა და ტალანტს შორის. თუ ავიღებთ პროფესიულ სპორტს - ფეხბურთს, კალათბურთს, ჩოგბურთს და ა.შ. ვარსკვლავების ანაზღაურება ბევრად აღემატება რიგითი ფეხბურთელის ან ჩოგბურთელის საშუალო ანაზღაურებას. მაგალითად, რონალდოს ან მესის ანაზღაურება ბევრად მაღალია იგივე დონის გუნდებში მოასპარევე რიგითი ფეხბურთელების ხელფასზე.

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული სამუშაო ძალა ლუქსემბურგშია და საშუალოდ საათში 20 ევროს შეადგენს (საარსებო მინიმუმი 8 ევრო საათში). აშშ-ში ყველაზე მაღალი ანაზღაურება აქვთ ექიმებს, საშუალოდ 140-150 ათასი დოლარი წელიწადში. ადვოკატებს 120-130 ათასი. ბოლო დროს ძალზედ მომგებიანი გახდა კონტრაქტის საფუძველზე, შეთავსებით, რამდენიმე ადგილზე მუშაობა. ასეთი პროფესიებია: ლექტორები, პროგრამისტები, ანალიტიკოსები, ექსპერტები და ა.შ., რომელთა საშუალო წლიური ანაზღაურება 180-200 ათას დოლარს აღწევს.

II. სამეწარმეო შემოსავალი საკუთრებიდან. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მისი წილი მოსახლეობის საერთო შემოსავლების სტრუქტურაში 30-40%-ს შეადგენს. ესაა შემოსავლები სხვადასხვა ბიზნესიდან, უძრავი ქონებიდან თუ ფასიანი ქაღალდებიდან. მაგალითად, აშშ-ში მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურაში 40% უკავია სხვადასხვა კორპორაციების აქციებიდან შემოსავლებს. პიროვნება შეიძლება მუშაობდეს ოფიციალურ სახელმწიფო ან არასახელმწიფო სტრუქტურაში ღებულობდეს ხელფასს. მაგრამ დამატებით ასევე გააჩნდეს შემოსავალი აქციებიდან ან სხვა ქონებიდან;

III. სოციალური ტრანსფერები. მოსახლეობის შემოსავლების საერთო სტრუქტურაში 10% უკავია. ტრანსფერი (ფრანგ. Transfert, ლათინურად Transfere — გადატანა, გადაგზავნა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოსახლეობაზე გაცემული ფულადი დახმარებაა, რომელიც არაა დაკავშირებული რაიმე სამსახურის შესრულებასთან. მაგალითად, პენსია, სხვადასხვა დახმარებები და შემწეობები. ცივილიზირებულ ქვეყნებში მოქმედებს მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ქმედითი სისტემა. ასეთ ქვეყნებში სახელმწიფო ხარჯები სოციალური პროგრამებზე შეადგენს 10–30%-ს. ამ კუთხით აღსანიშნავია ჩრდილოეთ ევროპის, განსაკუთრებით სკანდინავიის ქვეყნები.

შემოსავლების უთანაბრობის მიზანები

1. მნიშვნელოვანია, რომ შემოსავლების უთანაბრობის პირველი მიზეზი ადამიანისეული კაპიტალია. მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების მიერ განვლილი ცხოვრების გზა გვიჩვენებს, რომ მათ საკუთარი ქონება მიიღეს არა შთამომავლობით, არამედ დააგროვეს გამორჩეული მონაცემების საფუძველზე.

რითი განსხვავდება მდიდარი ადამიანი ღარიბისგან? მთავარი აქ არის ის თუ როგორ ამროვნებს და მოქმედებს პიროვნება. ამბობენ, ღარიბს შეიძლება მისცე ბევრი ფული მაგრამ მალე არაფერი დარჩება, ან პირიქით – ჩამოართვა მდიდარს, თუმცა რამდენიმე ხნის შემდეგ მას კვლავ გაუჩნდება სიმდიდრე.

მსოფლიო მოსახლეობის 10% ფლობს საერთო სიმდიდრის 90%-ს. რომ დავუშვათ და თანაბრად გაუნაწილოთ აღნიშნული თანხა მთლიან მოსახლეობას. 5 წლის შემდეგ ფულის დიდი ნაწილი კვლავ მოსახლეობის მცირე ნაწილის ხელში აღმოჩნდება, ასეთია სამწუხარო თუ საბედნიერო რეალობა.

წარმატებულს ყოველთვის აქვს მკაფიოდ დაყენებული მიზანი. წარმატებულს – მიზეზები. მთავარია ქვეყანაში არსებობდეს ჯანსაღი ბიზნეს გარემო და საზოგადოების ყველა წევრს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს სამართლიან სოციალურ კონკურენციაში.

2. ოჯახური ფონი. პედაგოგიკის მიხედვით პიროვნების ჩამოყალიბებაში სამი ინსტიტუტი თამაშობს გადაწყვეტ როლს – ოჯახი, სასწავლებელი (ბაღი, სკოლა, უნივერსიტეტი) და ქუჩა (სამეგობრო წრე). აღნიშნული ინსტიტუტებიდან ოჯახი ითვლება ადამიანისეული კაპიტალის მთავარ მწარმოებლად, სწორედ იგი გადასცემს თაობიდან თაობას ძირითად კულტურულ კოდებს. ერთი და იგივე ოჯახიდან გამოდიან მსგავსი ფასეულობების მქონე პიროვნებები. არის განსხვავებებიც მაგრამ ეს უფრო გამონაკლისი შემთხვევებია და არა წესი (Bedianashvili, 2018).

3. ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პო-

ლიტიკა და შესაბამისი გარემო. პიროვნების მონაცემების რეალიზაციისათვის სახელმწიფოში უნდა არსებობდეს ჯანსაღი გარემო. ამ მხრივ ყველაზე საუკეთესო პირობებია აშშ-ში. როგორი დაბალი სოციალური ფენიდანაც არ უნდა იყოს გამოსული პიროვნება, თუ მას გააჩნია პიროვნული კაპიტალის მაღალი მაჩვენებელი და მუდმივად მუშაობს საკუთარ თავზე, ყველაზე მეტი შესაძლებლობები აქვს გაზარდოს საკუთარი შემოსავლები და იყოს წარმატებული ცხოვრებაში. ამის საუკეთესო მაგალითია აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ბარაკ ობამა, რომელიც დაიბადა კენიელი ემირანტის ოჯახში. მისი ხელფასი დღეს, როგორც მხოლოდ ყოფილი პრეზიდენტის 400 ათას დოლარს შეადგენს;

4. განსხვავება მემკვიდრეობითი საკუთრების ღირებულებაში. თუ პიროვნებას წინაპარმა დაუტოვა სოლიდური ქონება და გონივრულად იყენებს მას, ბუნებრივია აღნიშნული წარმოშობის განსხვავებას შემოსავლებში;

5. ე.წ. ილბალი – აღმოჩნდეს საჭირო დროს საჭირო ადგილას. ცნობილი მილიარდული ბილ გეიტსი დაიბადა და გაიზარდა საშუალო შემოსავლების მქონე ამერიკულ ოჯახში. მან უნივერსიტეტი აღრე მიატოვა, რათა მთელი დრო დაეთმო IT ტექნოლოგიებისათვის.

1975 წელს გეიტსმა წამოიწყო საკუთარი საქმე ბავშვობის მეგობარ პოლ ალენთან ერთად, იმ ამრით რომ კომპიუტერი მომავალში უნდა ყოფილიყო ყველაზე საჭირო ნივთი ყველა ოფისსა და სახლში. მან დაიწყო მუშაობა პერსონალური კომპიუტერული პროგრამის შექმნაზე. განსაკუთრებულმა მონდომებამ განაპირობა MICROSOFT-ის წარმატება, მიზანი იყო ისეთი ოპერაციული სისტემის შექმნა, რომელსაც ადვილად გამოიყენებდა ყველა ადამიანი.

საინფორმაციო რევოლუციის გარიჟრაჟზე მის პაწაწინა კომპანია „მაიკროსოფტს“ გაუმაართლა იმაში, რომ პერსონალური კომპიუტერებისათვის ოპერაციული სისტემა, ასეთივე პატარა ვაკოტრებული კომპანიიდან მაშინ შეიძინა, როცა მსოფლიო კომპიუტერულ ბიზნესში უდიდესი კორპორაცია აი-ბი-ემი (IBM) ამგვარ სისტემას საჭიროებდა. როგორც მოგვიანებით მისი პრეზიდენტი აღნიშნავს: შეიძლება ითქვას, იმ დროს IBM-მა არსებობის ისტორიის მანძილზე დაუშვა ყველაზე დიდი სტრატეგიული შეცდომა. საკუთარი ძალებით კი არ დაამზადა მისი კომპიუტერებისათვის საჭირო საოპერაციო პროგრამა. რაც თავისუფლად შეეძლო ამ სფეროს კვალიფიციური სპეციალისტების დაქირავებით და სოლიდური ანაზღაურების გადახდით, არამედ „მაიკროსოფტისგან“ შეიძინა უკვე დაპატენტებული, ახლა საყოველთაოდ ცნობილი საოპერაციო სისტემა MS-DOS.

კონტრაქტის პირობებმა დიდი დანახარჯების გარეშე უზრუნველყო „მაიკროსოფტის“ მაღალი შემოსავლები. IBM-მა კი დაუშვა სტრატეგიული შეცდომა. ვერ გააკეთა სწორი პროგნოზი. ვერ განჭვრიტა საინფორმაციო ბიზნესის პერსპექტივა. „მაიკროსოფტის“ და ბილ გეიტსის შემოსავლები კი იმ დროიდან ფანტასტიკურად გაიზარდა.

მთავარია პირველი მილიონის შოვნა. მნიშვნელოვანი იყო ამ დროს ბილ გეტისისათვის ბედის ირონიაც. თუმცა მან საუკეთესოდ გამოიყენა აღნიშნული შემთხვევა. როგორც ამბობენ „ილბალი კეთილგანწყობილია მომზადებული გონების ადამიანებისათვის“.

შემოსავლების გადანაწილების კონცეფციები

კაცობრიობას ოდითგან აწუხებდა დილემა, როგორ უნდა ხდებოდეს საზოგადოებაში ეროვნული შემოსავლის გადანაწილება? აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრება. პირველის თანახმად, საზოგადოების მთლიანი შემოსავლის განაწილება უნდა ხდებოდეს თანაბრად. ამ იდეას ქადაგებენ მრავალი რელიგიური, ეთიკური, კომუნისტური და სხვა კონცეფციები. მაგრამ კაცობრიობის განვლილი ცხოვრება გვიჩვენებს, რომ აღნიშნული, ერთი შეხედვით, მიმზიდველი იდეა უტოპურია და პრაქტიკულად განუხორციელებელი. მისი მიახლოებით განხორციელება შესაძლებელია დიქტატორული რეჟიმით, მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში.

გათანაბრებისკენ სწრაფვას მოსდევს ეფექტიანობის დაქვეითება. მსგავსი ეკონომიკური სისტემა ასტიმულირებს ჩრდილოვანი ურთიერთობებს და წარმოშობს მრავალ უქნარას, რომლებსაც სხვის ხარჯზე სურთ ცხოვრება.

მეორე მოსაზრების მიხედვით, რომლის ფუძემდებელია ინგლისელი სოციოლოგი გ. სპენსერი პირიქით, უთანაბრობა არა მხოლოდ ნორმალური, არამედ საზოგადოებისათვის სასარგებლო მოვლენაა. უთანაბრობა სტიმულს აძლევს კონკურენციას და განვითარების მამოძრავებელი ძალაა, როგორც პიროვნებისათვის ისე მთლიანად საზოგადოებისათვის. თუმცა პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მკვეთრი უთანაბრობის შემთხვევაში მატულობს საზოგადოების სოციალური დეგრადაციის საფრთხე და ფერხდება ქვეყნის ცივილიზირებული განვითარება. ამიტომ, მნიშვნელოვანია ისეთი ოქროს შუალედის პოვნა, რომელიც შექმნის ოპტიმალურ პირობებს საზოგადოებრივი პროგრესისათვის.

გაეროს მიერ შემუშავებული მდგრადი განვითარების კონცეფციის მიხედვით ეკონომიკური ზრდა მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს პიროვნების (საზოგადოების) ფართო მასების კეთილდღეობას, მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. შემოსავლების მკვეთრი უთანაბრობის შემთხვევაში, როდესაც ბიზნესები მონოპოლიზირებულია ხელოვნურად, ეკონომიკური ზრდის შედეგებს ძირითადად მოსახლეობის შეძლებული ფენა გრძნობს, რომლის ხელშეწყობა მაღალი შემოსავლების მიღების პრაქტიკული ბერკეტები – კერძო საკუთრება, სხვადასხვა ბიზნესები, მაღალი თანამდებობები და ა.შ.

ფრანგი მეცნიერის ს. სტოლერის მიხედვით: „ქვეყანა,

სადაც თითოეული მოქალაქის შემოსავალი ნელა იზრდება – ბედნიერია, ხოლო თუ შემოსავალი სწრაფად იზრდება, მაგრამ ერთდროულად მატულობს მათი უთანასწორობა განწირულია დაღუპისათვის“ (Stoller, 1972).

არსებობს ორი კონცეფცია შემოსავლების განაწილებაზე. პირველის თანახმად, რომელსაც პირობითად სოციალურს უწოდებენ – სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოქალაქე შემოსავლით, რომელიც არ იქნება ქვეყანაში ოფიციალურად დადგენილ „სიღარიბის ზღვარზე“ ნაკლები. აღნიშნული მიდგომა დამახასიათებელია დასავლეთ ევროპის, განსაკუთრებით სკანდინავიის ქვეყნებისათვის.

მეორე მიდგომით, რომელსაც პირობითად საბაზრო ეწოდება – სახელმწიფოს ამოცანაა მოქალაქის არა გარკვეული გარანტირებული შემოსავლით უზრუნველყოფა არამედ პირობების შექმნა (სოციალურ-ეკონომიკური გარემოს), რათა თითოეულმა საკუთარი ეკონომიკური აქტიურობით შეძლოს შემოსავლების ზრდა. აღნიშნული მიდგომა დამახასიათებელია აშშ-ის ეკონომიკური მოდელისათვის.

ორივე კონცეფცია ცდილობს განაწილების სამართლიანობის პრინციპის დაცვას, თუმცა განსხვავებული გავებით. სამართლიანობის დაცვის საშუალებას იძლევა შემოსავლების დაბეგვრის პროგრესული შკალა. ცივილიზირებულ ქვეყნებში სოციალური პოლიტიკა მიმართულია მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის შერბილებისკენ.

შემოსავლების განაწილების თვალსაზრისით მსოფლიო მეტად უთანაბროდაა (შეიძლება უსამართლოდაც) მოწყობილი. „მსოფლიო განვითარების შესახებ“ გაეროს მოხსენების თანახმად. დედამიწის სამი ყველაზე მდიდარი ადამიანი ფლობს სიმდიდრეს, რომელიც მსოფლიოს 48 უღარიბესი განვითარებადი ქვეყნის ერთობლივ მთლიან სამამულო პროდუქტს აჭარბებს. პლანეტის 15 უმდიდრესი ადამიანი ფლობს იმაზე მეტ ქონებას ვიდრე მთელი აფრიკის კონტინენტის სახელმწიფოების მთლიან სამამულო პროდუქტს შეადგენს. ამავე დროს, მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების 6 მილიარდი მოსახლეობიდან 60% მოკლებულია ელემენტარულ სანიტარულ-ჰიგიენურ და საყოფაცხოვრებო პირობებს. 20% კი ნახევრად შიმშილობს (<https://www.businessinsider.com/the-15-richest-people-in-africa-ranked-2020-9>).

დასკვნა

ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ფიზიკურად ისე შესაძლებლობებით. ერთნი იბადებიან ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულნი, მომადლებული ენერგეტიკული აქტიურობით, კარგი ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობით და ინტელექტუალური შესაძლებლობებით. მეორენი მეტ-ნაკლებად არიან დაჯილდოებული ამ მონაცემებით. შესაბამისად განსხვავება შემოსავლებში ბუნებრივი

პროცესია. მთავარია, სახელმწიფოში არსებობდეს სამართ- პირობებს შეუქმნის ყველა მოქალაქეს საკუთარი შესაძლებ-
ლიანი სოციალურ-ეკონომიკური გარემო, რომელიც თანაბარ ლობების რეალიზაციისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

- Abzalava, A.**, (2014). *Global-Innovative Problems of Economy and Business*. Universal Publishing House, Tbilisi:612.
- Avramova, E.M., Loginov D.**, (2002). Socio-economic adaptation: resources and opportunities. *Journal ONS*, 5:24-34.
- Becker, G.**, (1983). *Treatise of the Family*, Oxf., 44
- Bedianashvili, G.**, (2018). Culture as a factor of knowledge economics with paradigmatic changes in systemic institutional context. *Globalization and Business*, 6:58-66.
- Coleman, I.**, (1990), *Foundations of Social Theory*. Cambridge:42-54.
- Country List Government Debt to GDP. *Trading Economics* (2019). <https://tradingeconomics.com/country-list/government-debt-to-gdp>
- Global wage growth lowest since 2008, while women still earning 20 per cent less than men* (2018).https://www.ilo.org/global/about-the-ilo/mission-and-objectives/features/WCMS_650551/lang--en/index.htm
- <http://hdr.undp.org/sites/default/files/hdr2020.pdf>
- <https://www.businessinsider.com/the-15-richest-people-in-africa-ranked-2020-9>
- Moskvin, L.**, (1999). New social measurements in the modern world, ONS, 1999, N3,
- Papava, V.**, (2018), The Crisis of Economic Science and the Search for a New Paradigm, *Globalization and Business*, 6:15-27.
- Papava, V., Silagadze, A.**, (2019). How the Term the "Gross Domestic Product" should be Translated into Georgian. *Globalization and Business*, No. 7:203-204. (In Georgian)
- Sartania, V.**, Tokmazishvili M., Maglakelidze Sh., (2004). Principles of Education Economics in the History of Public Opinion, Tbilisi, 391.
- Stoller, L.**, (1972), *Ravnovesie and йкономический рост*. - М.: Progress, 440 p.
- The Economic Significance of Natural Resources: Key Points for Reformers in Eastern Europe, Caucasus and Central Asia (2011). OECD. http://www.oecd.org/env/outreach/2011_AB_Economic%20significance%20of%20NR%20in%20ECCA_ENG.pdf

JEL Classification: A13, A20

<https://doi.org/10.35945/gb.2021.11.015>

THE METHODS OF TEACHING AND LEARNING IN THE ASPECT OF SYNERGISTIC THEORY

NELI SESADZE

PhD, Professor

Georgian National University, Georgia

nelisesadze@seu.edu.ge

VALIDA SESADZE

Doctor of Technical Science

Georgian Technical University, Georgia

V_sesadze@gtu.ge

ANZORI KEVKHISHVILI

PhD, Student

Georgian Technical University, Georgia

akevkhishvili@gmail.com

Abstract. Modern education is a very complex system that exists in an unstable society. Therefore, it would be useful to consider the problem of human education from the standpoint of a synergistic approach. Self-study and mutual learning of students take place as a part of small permanent student groups. The project is considered completed if each student is a member of the team in equal degree explains the solution to the problem and answers all questions of the teacher. Synergistic effect is expressed in a change in the attitude of students to study, an increase in motivation to acquire knowledge, the formation of abilities for self-learning and mutual learning, the ability to find effective ways of solving problems.

KEYWORDS: SYNERGETIC THEORY, SELF-ORGANIZATION, SYNERGISTIC EFFECT, PROJECT DEVELOPMENT AND PRESENTATION.

For citation: Sesadze, N., Sesadze, V., Kevkhishvili, A., (2021). The Methods of Teaching and Learning in the Aspect of Synergistic Theory. *Globalization and Business*, №11, 108-111. <https://doi.org/10.35945/gb.2021.11.015>

INTRODUCTION

The developed world has gone through both agricultural and industrial and post-industrial stages of the economy. The knowledge economy is considered to be the last stage in the development of the global economy. Today knowledge accompanies any activity. Innovations are becoming a key resource for job creation and employment growth. Today the world invests more in the field of knowledge than in major funds.

States' spending on human capital formation is increasing. Expenditure on education in European countries is more than 5% of GDP. State budget expenditures on education are increasing in Georgia. The index increased from 2.8% to 3.6% in 2010-2019. By 2022, according to the state budget, these expenditures will be equal to 22% of GDP.

Today, both labor supply and demand in the labor market are characterized by problems. International studies con-

firm the problems of the quality of the education system in Georgia and the low skills of the workforce. With this indicator, Georgia lags behind the post-Soviet countries - in terms of workforce skills, it takes the 125th place among 141 countries by 2019..

The problems of the education system have been exacerbated by the pandemic and the associated special coercive measures.

The COVID-19 pandemic has affected all areas of public life, including the education system. One of the ways to contain coronavirus infection is social isolation, its measures required the closure of educational institutions.

The pandemic has become a catalyst for change in this area. Educational leaders almost immediately faced a difficult choice: to try to translate educational processes into an on-line environment.

Despite a fairly wide range of available technologies, even the leading countries in the field of digitalization of the

economy (USA, China, Japan) experience significant difficulties in organizing online education.

It is not the lack of infrastructure or the lack of readiness of teachers to master digital learning technologies that is difficult; the current situation is radically changing the existing model of social interaction communication between students and teachers is moving to a new format.

Accelerated digitalization is becoming a test of the strength of teachers, educational institutions, and national educational systems.

This situation in the labor market is caused by many factors, but in this article, we will focus only on teaching-learning methods, through which we consider it is possible to increase the motivation of students to study. We discuss the problem of increasing motivation from the position of synergistic theory.

THE MAIN PART

In the middle of the XX century a new direction of science emerged - synergy, which attracted the attention of a wide circle of scientists, because it was about a range of problems that were relevant to both the natural sciences and the humanities. Synergistic studies general patterns in the self-organization of complex systems.

In the frame of Synergetics the fundamental discover has been implemented. The universe, as a whole matter, from physical level – to biological and social level, has the property of self-organization, self-development. Also, it has been discovered, that self-organization algorithms have much common among each other in various systems of nature. Despite the external likeness of processes, equations during their mathematical description have practically coincided with each other. In these equations only physical content of sizes was different.

The term “Synergetics” (joint or cooperative action-translation from Greek) was first used by the English physiologist Sherrington in the study of the control of muscular systems from the side of the spinal cord. According to the theory of synergistic - any nonlinear system has the property of self-development. At a conference on synergistic issues in 1973, a German scientist H. Haken noted that self-organizing processes are observed in different systems of nature - in lasers, in the atmospheric vortex, in groups of wild animals, in the formation of complex molecules in chemical reactions, in the galaxy and in some social events - in the process of transition from less orderly to more organized. Collective, agreed processes take place in these systems. They behave like each other and subject to common mathematical regularities. H. Haken also found the mathematical apparatus by which he was able to describe the process of self-organization of systems (Haken, 1983).

1. Stochastic theory – for description of misbalanced processes.

2. Bifurcation theory – for description of phase crossings.

Haken in self-organization systems has divided their common characteristic – mutual co-ordination of its elements

(cooperativeness) and has made common mathematical model of this event.

Two stages of developing of Synergetics are divided.

The age of dissipative structures. Mathematical apparatus of Synergetics was the theory of bifurcation and the theory of ordinary differential equations on this stage.

Some tasks were not solved on the first stage of Synergetics, such as general conditions of self-organization, which is changeable in concrete case.

He singled out three common features of systems self-organization:

1. Agreement, collectivity, and cooperation. Any collective process cannot come to self-organization independently, but only - by mutual agreement;

2. Systems can only be open that exchange energy or matter with the environment. For example, Benar’s cells and laser radiation can only exist if they receive energy from the outside;

3. The systems are unbalanced. Unbalanced phase transitions can be attributed to phase transitions in lasers, the emergence of Benar cells; (Haken, 1983).

This theory was developed by (G.Nicolis, I.Antonio, A.Babloyants,V. Basios,I.Stengers and other scientists) representatives of the I. Prigogine School in Brussel, who tried to explore the systems of different natures (Physical, chemical, biological, social, etc.). The research determined the necessary conditions for the start of self-organization of systems:

1. The system must be open;

2. Processes must be in a state away from thermodynamic equilibrium;

3. It is necessary to detect and amplify fluctuations in the system that shake the old order and lead the system to a new order;

4. Self-organization relies on positive feedback (changes in the system are accumulated and strengthened by the system itself);

5. Self-organization can only begin in systems that have a sufficient (critical) number of interacting elements; (Prigogine, Stengers, 1984)

At the end of the twentieth century. Synergetic theory in education was developed by S.P. Kurdyumov, E.N. Knyazeva, N.V. Gaskova, L. Y. Zorin (considered the synergetic principles of integrating natural science and humanitarian education), K.Kh. Delokarov, F.D. Demidov, V.G. Budanov, A.D. Ursul (philosophical and methodological problems of education in a synergistic aspect), G.G. Malinetskiy (principles of self-organization of educational and training activities within the educational process), L.I. Novikova, V.P. Velyaskina, O. P. Melekhova, V.I. Arshinov (organization of reflection and communication in open educational systems), M.T. Gromkova, K.K. Kolin, I.A. Surin (the formation of a synergistic worldview and activity).

In the aspect of the theory of synergistic, in accordance with the sustainable, dynamic and effective development of the education system, in general, the basis of optimal human manufacture is the principles of fluctuation, coevolution, order parameters, and cooperation.

Let us discuss each of them in terms of raising students’ learning motivation.

The principle of fluctuations. The change caused by the current processes in the system is called fluctuation. In relation to the teaching process, this principle can be presented as follows: The subjects and the teachers' activity should be directed in the direction where the teaching process take a creative character. It becomes important for teachers to master the methods of self-education. Conditions must be created to enable the emergence of knowledge based on the creative process. Scientific discovery, high-level report, interesting lecture topic, teacher's attitude and so on - are fluctuations that can have a positive impact on the processes of the education system.

According to Prigogine, a human society has a high sensitivity to fluctuations - there is a non-linear relationship between the power of fluctuation and changes in the system. Fluctuations can be amplified by feedback, thereby causing system changes.

Order settings. To study the current processes in the system, from the set of its characteristic parameters, the so-called Managing settings, the nature of the change of which determines the nature of the system operation. H. Haken characterizes it with the following example: if the density of people at the subway crossing is insignificant, then people move smoothly, chaotically, as if they do not notice each other. As the density increases, they have regard for each other and take care of the new arrangement of movement — either left or right. Here the density is the ruling parameter.

The synergetic model introduces the principle of "invariance" in education technology. It offers a choice of multiple options. In these conditions, decision-making creates order parameters (fashion), which lead to the formation of a new orderly structure. In the case of education the parameter of order is the conception. The behavior of the system elements are subdued to the conception, and as a result, the positive feedback is obtained.

Information is provided to the system. This information is perceived differently by the elements of the system. The Part of the elements of the system uses it and evolves accordingly, while the other part remains behind these processes. Active elements are a kind of fashion of the system. They subject the rest of the elements of the system. Through these processes the system acquires its structure.

The principle of cooperation. The principle of cooperativeness mainly implies the agreed interaction of the subjects of the system. The focus is on the system as a whole and on its optimal development. With regard to education, this means obtaining synergy as a result of the agreed interaction of the subjects of education, operating in a single tempo mode. Self-organization is understood as the process of changing the interrelationship of elements, which is aimed at maintaining and developing the whole system and not its parts. The main characteristic of the emergence of the process of self-organization is cooperativeness. The system property no longer goes down to the arithmetic sum of the properties of the system elements; this is already a new feature that its elements do not have. This situation leads to further development of the system.

The principle of synchronous development. Subjecting

students to a common goal (engaging in synchronicity) creates a dynamically stable, sustainable development system. The new topological correct combination of elements accelerates the development of both the unified system and its individual elements. The elements of the system begin to function at the same pace to the point where they have the ability to integrate another immediate environment into a given order.

We believe that the method of project development is of great importance for practical and laboratory training, it significantly raises the level of student self-organization in the teaching process. In the traditional approach, when a student solves tasks individually, the problem-solving time is extended accordingly, due to their different levels of preparation. Under the conditions of the design method, the process becomes more dynamic when jointly solving the task, at the same time, new hypotheses and different ways of solving the problem are born in the group, - that is students' self-learning, development and mutual learning. (Yakusheva, 2014).

Students' motivation for creative activities increases, which is of great importance for the teaching process. The result of the students' joint efforts outweighs the efforts of each of them individually. This is the main synergistic effect of collective creativity. This method is widely used in our teaching process. Small student groups are formed with 2-3 students.

The relationships that are formed between students during problem solving are an important stage in group self-organization.

Students' independent working and collaborative learning take place in small groups of students. The project is considered completed if each student-group member solves the task with equal quality and answers all the questions.

The synergistic effect of this method is expressed in the change of students' attitudes towards teaching, increases the motivation to acquire knowledge, the student develops skills to work independently and learn from each other, there is an opportunity to find more effective means of solving the task. At the same time, the basis for self-organization of the learning process is laid and learning becomes a requirement of students.

Mutual learning develops students' skills in expressing their opinion, asserting their own way of solving a task, drawing conclusions, and proposing future research.

The teacher is in the role of project organizer, consultant. Participates in the discussion of results, more effective student groups can be involved by the teacher in more serious scientific work and scientific conferences. Thus it can be said that the method of the project enhances the quality of teaching, forms the principles of relationship in the study group based on self-organization, introduces the principle of creativity and motivation in the teaching process, and the effect of student self-learning and mutual learning is enhanced. Courage of scientific activity and partnerships are formed with the teacher. With this approach, students acquire the knowledge and skills, which are necessary for professional activities.

They develop competencies such as problem solving, self-education, and social interaction opportunities.

CONCLUSION

The conclusion can be ascertained about the direct dependence of civilization, sustainable development of the state, spiritual evolution of humanity from personality traits and the way a person achieves a high level of education. The formation of students' readiness for self-organization in the process of independent work at the university is possible only when you turn on student in this type of educational activity, which would simulate the conditions of highly efficient professional activity, corresponding to the level of the European standard.

At the turn of the XX- XXI centuries, the Georgian systems education were involved in complex economic processes, social, political and cultural transformations associated with both the transition to democratic forms of life and governance, and with inclusion in global structures: financial, economic, political technical, informational. This gives us an understanding that the strategic goal of domestic educational activity at this transitional stage is a change in the educational paradigm, which cannot be done without attracting the enormous methodological potential of post-non-classes scientific

science, which is becoming a new picture of the world, the core of which is Synergetics.

Nonlinear science is being developed even today. International scientist conferences are regularly held on this theme. Books with series of Synergetics are established in publishing house "Shpringer", which has exceeded 100 volumes. Today, a number of scientific journals are devoted to nonlinear science: "Chaos", "Nonlinearity", "Physical Review E". Scientific magazines establish articles on themes of Synergetics.

In the works of Academician I. Prangishvili, the principles and methods of the systems approach and the universal systemic laws that govern a significant part of natural and social systems are discussed (Gugushvili, 2003).

The main feature of synergy is its interdisciplinary nature. The latter means cooperation between different scientific directions.

We would like to hope that the views of synergistic and the new methods of approach in the field of education will help us to find the effective techniques of self-organization for such a long period of transition in Georgia.

REFERENCES:

- Budanov, V.**, (2006). Methodology and principles of synergetics. <http://law.sfu-kras.ru/attachments/article/4088/15budanov-fo-1-3-2006.pdf>
- Chapman, D. D., Adams, D.**, (2002). The quality of education: Dimensions and strategies. *Education in Developing Asia* 5:1–73
- Cohen, L., Manion, L., & Morison, K.** (2007). *Research Methods in Education*. (6th ed.). London: Routledge.
- Gugushvili, R., Khurodze, T., Imedadze T.**, (2003). Synergetics, text-book of XXI century GTU.
- Haken, H.**, (1983). Synergetics Springer-Verlag Berlin Heidelberg New York Tokyo <http://norlx51.nordita.org/~brandenb/AstroDyn/progress/material/Haken83.pdf>
- Joppe, M.**, (2000). The Research Process. Retrieved January 16, 2017, from <http://www.ryerson.ca/~mjoppe/rp.htm>
- Kösterelioglu, M. and Kösterelioglu, I.**, (2015). Effects of high school students' perceptions of school life quality on their academic motivation levels. *Educational Research and Reviews* 10(3): 274–281.
- Prigogine, I; Stengers, I.**, (1984). Order out of Chaos: Man's new dialogue with nature. Flamingo ISBN 0-00-654115-1
- Saepudin, A. and Marlina, A.**, (2013). The effects of institution service quality on student satisfaction of Smpn 3 Cibadak, Sukabumi. *International Journal of Scientific & Technology Research* 2(3): 162–172.
- Sesadze, V., Kekenadze, V., Chikadze, G.**, (2013).- "Synergetics, research of economical processes", Tbilisi.
- Sesadze, V., Sesadze, N.**, (2004). Synergetic - Synthesis of Nonlinear Systems . CTU, Tbilisi.
- Yakusheva, D.**, (2014). Synergetic Approach in the Development of Professional of a Modern Thacher <http://spkurdyumov.ru/education>

JEL Classification: M12, M54

<https://doi.org/10.35945/gb.2021.11.016>

THE STRUCTURE AND SYSTEM OF MOTIVATIONS OF THE TEACHING STAFF PROFESSIONAL ACTIVITIES

NANA LUKHUTASHVILI**Assistant Professor of Akaki Tsereteli State University**

Associate Professor of Kutaisi University, Georgia

nana.lukhutashvili@atsu.edu.ge

nana.lukhutashvili@unik.edu.ge

TEA VALISHVILI**Associate Professor of Akaki Tsereteli State University**

Associate Professor of Kutaisi University, Georgia

tea.valishvili@atsu.edu.ge

tea.valishvili@unik.edu.ge

Abstract. In order to ensure that the higher education institutions attain the desired objectives, it is very important to motivate employees to work effectively, which directly depends on their work motivation.

When managing motivation, the manager's job is to activate the motivations that already lie in the employees.

Specific activities of the teaching staff in the higher education system are conditioned by motivations of work activities, as well as by the joint action of motivations for choosing profession and motivations for choosing workplace, the ratio of which guides the conduct of employees and creates its motivational structure.

Virtually every worker has his/her own motivational structure, in which the leading place is occupied by the motivating core, which is the set of leading motives and stimuli that guide workers at a given point in time.

In order to reveal the motivating core in the structure of the teaching staff, we conducted a survey at Akaki Tsereteli State University. A total of 252 respondents took part in the survey of the teaching staff. As a result of the survey, motivations that are mostly related to the content of labor and the specific labor conditions typical for the higher education institutions.

In order to succeed in organizations and their structure, it is not only desirable, but essential to create, maintain and operate a staff motivation system in continuous development mode.

Based on our research, we have identified the areas of motivation and stimulation that are most relevant for Akaki Tsereteli State University today, and based on them, we have developed the motivational program that, in our opinion, will help the university to achieve its strategic goals and successfully meet the challenge.

KEYWORDS: MOTIVATION, LEADING MOTIVES, MOTIVATIONAL STRUCTURE, MOTIVATIONAL CORE, MOTIVATIONAL PROGRAM.

For citation: Lukhutashvili N., Valishvili T. (2021). The structure and system of motivations of the teaching staff professional activities. *Globalization and Business*, №11, 112- 117. (In Georgian). <https://doi.org/10.35945/gb.2021.11.016>

JEL Classification: M12, M54

<https://doi.org/10.35945/gb.2021.11.016>

უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის მოტივთა სტრუქტურა და მოტივაციის სისტემა

ნანა ლუხუთაშვილი

ტექნიკის აკადემიური დოქტორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო
 nana.lukhutashvili@atsu.edu.ge
 nana.lukhutashvili@unik.edu.ge

თეა ვალიშვილი

ეკონომიკის დოქტორი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო
 tea.valishvili@atsu.edu.ge
 tea.valishvili@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: მოტივაცია, ნამყვანი მოტივები, მოტივაციური სტრუქტურა, მოტივაციური ბირთვი, მოტივაციური პროგრამა

ციტირებისთვის: ლუხუთაშვილი ნ., ვალიშვილი თ. (2021). უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის მოტივთა სტრუქტურა და მოტივაციის სისტემა. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, №11, 112-117.
<https://doi.org/10.35945/gb.2021.11.016>

უმაღლესი სასწავლებლების მიერ სასურველი მიზნების მისაღწევად საჭიროა არა მხოლოდ სხვადასხვა მატერიალური რესურსები და კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, არამედ, და შეიძლება ითქვას, რომ უფრო მნიშვნელოვანია – თვით ამ თანამშრომლების მისწრაფება, იმუშაონ ეფექტიანად, რაც უშუალოდაა დამოკიდებული მათ შრომით მოტივაციაზე (Machado, 2011); (Kerestesova, 2009). როგორც მეცნიერ-მკვლევართა უმრავლესობა აღნიშნავს, თანამშრომლის მუშაობის შედეგიანობა დამოკიდებულია ორ ფაქტორზე. პირველი, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, არც თუ ისე მნიშვნელოვან – პროფესიულ ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და სპეციალისტის კომპეტენციზე და მეორე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანზე – თანამშრომლის დამოკიდებულებაზე სამუშაოსადმი, მისი შესრულების სურვილზე, ანუ მოტივაციის დონეზე.

ექსპერტების შეფასებით, თანამშრომლების პროფესიონალიზმში განსაზღვრავს შედეგების მხოლოდ 15%-ს, ხოლო დანარჩენი 85% – მოდის სამუშაოსადმი მათ დამოკიდე-

ბულებაზე (Kruglova:2010). ამასვე ამბობდა ინგლისელი ფილოლოგი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადოდ აღიარებული ინტელექტუალი გილბერტ მარი. იგი წერდა – “ვისაც სურს, აკეთებს გაცილებით მეტს, ვიდრე ვისაც შეუძლია”.

როგორც ცნობილია, თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლება რთული და მუდმივი პროცესია. მოტივაციის სისტემის შექმნისას, ერთის მხრივ, გვიწევს გავითვალისწინოთ ისეთი, საკმაოდ განსხვავებული ფაქტორები, როგორცაა: თანამშრომელთა მიზნები და ამოცანები, ორგანიზაციის სტრატეგია, კორპორაციული კულტურა, არსებული რესურსები, საკადრო პოლიტიკა და ა.შ. მეორეს მხრივ, ორგანიზაციაში მუდმივად მიმდინარეობს ცვლილებები და ბუნებრივია, ის დგება ახალი გამოწვევების წინაშე, იცვლება ორგანიზაციის ამოცანები, ხდება მათი გადაწყვეტის გზები, მოტივაციური რესურსების განახლება, თვით ადამიანებსაც ეცვლებათ მოთხოვნილებები და შეხედულებები.

ხოლო, რაც შეეხება უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემას, უნდა ითქვას, რომ სამეწარმეო ბიზნესთან შედა-

რებით პროფესორ-მასწავლებლების მოტივაციის პროცესის მართვა გაცილებით ძნელია და მოითხოვს გააზრებულ მოტივაციის სისტემას, რომელშიც ჩართული უნდა იყოს როგორც მატერიალური და არამატერიალური, ასევე პოზიტიური (მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონის ამაღლებაზე მოქმედი შრომითი ქცევა) და ნეგატიური (დაკავშირებული არასწორი შრომითი ქცევის ბლოკირებასთან, მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონის შემცირებასთან) სტიმულირების ელემენტები (ელ. რესურსი: <http://motivtruda.ru/pozitivnoe-i-negativnoe.htm>).

მოტივაციის მართვისას ხელმძღვანელის ამოცანაა, აქტივიზირება მოახდინოს იმ მოტივების, რომლებიც თანამშრომლებში უკვე დევს. ამ მიზნით, პროფესორ-მასწავლებელთა საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისა და პროფესიული საქმიანობის მოტივირების უზრუნველსაყოფად აუცილებელია გავითვალისწინოთ ამ პროფესიის, როგორც ობიექტური სპეციფიკური მახასიათებლები – პროფესორის შრომის შინაარსი და მისი შრომის პირობები, ასევე მომუშავეთა პიროვნული განსაკუთრებული თავისებურებები – ფასეულობები, მიზანსწრაფვა, ინტერესები, მოთხოვნილებები, მოტივები.

როგორც ცნობილია, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიულ საქმიანობას საფუძვლად უდევს საერთო შრომითი, პედაგოგიური და უმაღლესი სკოლისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მოტივების შეთანაწყობა. შესაბამისად, პედაგოგიური შრომის მოტივაციისა და ეფექტური სტიმულირების მართვის სისტემის შესამუშავებლად აუცილებელია გამოვავლინოთ პროფესორმასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის მოტივთა სტრუქტურა და სიღრმისეულად შევისწავლოთ უმაღლესი სასწავლებლის მოტივაციური კლიმატი.

უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მოტივები შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: **შრომითი საქმიანობის მოტივები**; პროფესიის არჩევის მოტივები და სამუშაო ადგილის შერჩევის მოტივები (Ilyin, 2002). შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომლების კონკრეტული საქმიანობა საბოლოო ჯამში ამ მოტივთა ერთობლივი მოქმედებით განისაზღვრება.

შრომითი საქმიანობის მოტივები ის წამქმნებელი მიზეზებია, რომლებიც აიძულებენ ადამიანებს, იმუშაონ. მიზეზებიც შეიძლება გარკვეული პირობითობით დავაჯგუფოთ. კერძოდ, **მიზეზთა პირველ ჯგუფს, ანუ საზოგადოებრივი ხასიათის შევულისებაზე მიეკუთვნება**: საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანა (სხვა ადამიანებისათვის დახმარების გაწევა), საზოგადოებრივი განწყობა შრომითი საქმიანობის აუცილებლობაზე („ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს“) და ა.შ. **მიზეზთა მეორე ჯგუფში შედის განსაზღვრული მატერიალური კეთილდღეობის მიღება საკუთარი თავისა და ოჯახისათვის**. ანუ, მატერიალური და სულიერი მოთხოვ-

ნილებების დასაკმაყოფილებლად ფულის გამომუშავება. ხოლო, **მიზეზთა მესამე ჯგუფში კი გაერთიანებულია ისეთი მოთხოვნილებები, როგორცაა**: თვითგამოხატვის, თვითრეალიზაციის სურვილები. რასაკვირველია ადამიანს ბუნებით არ შეუძლია იყოს უმოქმედო, ის არა მხოლოდ მომხმარებელი, არამედ შემოქმედიცაა. შემოქმედების პროცესში კი ის ღებულობს კმაყოფილებას, ამართლებს რა ამით, მისი არსებობის არსს. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება ასევე მოტივები, რომლებიც უკავშირდება საზოგადოებრივ აღიარებასა და სხვათა მხრიდან მის პატივისცემას.

პროფესიის არჩევის მოტივები. როგორც წესი, შრომითი საქმიანობის საერთო (ზოგადი) მოტივები, რეალიზდება კონკრეტულ პროფესიებში. უნდა ითქვას, რომ პროფესიის არჩევა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი მოტივაციური პროცესია, რადგან პროფესიის სწორი არჩევანი განაპირობებს ადამიანის მიდრეკილებების, ინტერესების, შესაძლებლობების, ღირებულებების მაქსიმალურად გამოვლენას, რაც კმაყოფილებით აღავსებს მას.

სამუშაო ადგილის შერჩევის მოტივები. აქ ძირითადად იგულისხმება ის “გარეგანი” და “შინაგანი” ფაქტორები (მოტივატორები), რომელსაც ადამიანი განიხილავს სამსახურის არჩევის მომენტში. ძირითადად ეს შეეხება **გარეგანი სიტუაციის**, საკუთარი შესაძლებლობებისა და მდგომარეობის შეფასებას ასარჩევი სამუშაოს პროფესიასთან, ინტერესებთან და მიდრეკილებებთან შესაბამისობას. ჩვენი აზრით, უფრო კონკრეტულად: გარეგანი სიტუაციის (დადებითი და უარყოფითი საწარმოო ფაქტორების) შეფასება მოიცავს ხელფასის სიდიდეს, სახლთან სიახლოვეს, სამსახურში თავისუფალი სამუშაო გრაფიკის არსებობას, ორგანიზაციაში არსებულ ფსიქოლოგიურ კლიმატს, წახალისებისა და ჯარიმების სისტემას და ა.შ.; **საკუთარი შესაძლებლობების შეფასება** გულისხმობს ჯანმრთელობის მდგომარეობას, განათლების დონეს, მოცემული სამუშაოსადმი პროფესიულად მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების ფლობას და ა.შ. ხოლო, **ასარჩევი სამუშაო ადგილის შეფასება**, მათი ინტერესების გათვალისწინებით კი – ეხება კარიერულ წინსვლის შანსს იმავე ორგანიზაციაში, პროფესიულ ზრდას, ინიციატივისა და შემოქმედობითობის გამოვლენასა და ა.შ.

ორგანიზაციაში თანამშრომელთა საქმიანობა განპირობებულია ერთდროულად რამდენიმე მოტივით. რადგანაც თანამშრომელი ურთიერთობაში იმყოფება ნივთიერ სამყაროსთან, საზოგადოებასთან, გარემომყოფ ადამიანებთან და საკუთარ თავთან. სხვადასხვა მოტივების თანაფარდობა, რომლებიც განაპირობებს თანამშრომელთა ქცევას, ქმნის მის მოტივაციურ სტრუქტურას, რომელიც წარმოადგენს საკმაოდ სტაბილურს, თუმცა ექვემდებარება მიზანმიმართულ ფორმირებასაც.

ფაქტურად, ყოველ მომუშავეს საკუთარი მოტივაციური სტრუქტურა გააჩნია, რომელშიც წამყვანი ადგილი მოტივაციურ ბირთვს უჭირავს.

მოტივაციური ბირთვი წარმოადგენს წამყვანი მოტივებისა და სტიმულების ერთობლიობას, რომლითაც ხელმძღვანელობენ მუშაკები დროის განსაზღვრულ მომენტში და განსაზღვრავენ მათ ქცევას. მოტივაციური ბირთვში გამოყოფენ ფენებს, რომლებიც უკავშირდება: შრომის ფასეულობებს, სამუშაოსადმი პრაქტიკულ მოთხოვნილებებსა და ამ მოთხოვნების რეალიზების ალბათობის შეფასებას კონკრეტულ სიტუაციაში.

პროფესორ-მასწავლებელთა მოტივთა სტრუქტურაში მოტივაციური ბირთვის გამოსავლენად, ჩვენ მიერ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულმა ანკეტური გამოკითხვამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 252 რესპონდენტმა, აჩვენა (იხ. ცხრილი), რომ **პროფესიის, როგორც სამუშაო ადგილის შერჩევის მოტივი**, სადაც იქმნება პროფესორ-მასწავლებელთა თვითრეალიზების პირობები, განპირობებულია ინტელექტუალურ გარემოში ყოფნის სურვილით - 59,3%; მატერიალური სარგებლით - 59,3%; თვითგანვითარების სურვილითა - 51,7% და დაგროვილი ცოდნის მომავალი თაობისათვის გადაცემის სურვილით - 50,8%.

აღნიშნული მოტივების გვერდით **კონკრეტული უმაღლესი სასწავლებლის შერჩევის** მოტივებიდან ადგილს იკავებს სამეცნიერო-პედაგოგიური პოტენციალის რეალიზაცია (58,5%) და სასწავლებლის იმიჯი და პრესტიჟი (52,5%).

პროფესიული საქმიანობის შინაარსთან დაკავშირებული მოტივებიდან მოტივაციურ ბირთვში შევიდა ისეთი მოტივები როგორცაა: ახალგაზრდა თაობასთან ურთიერთობა (66,9%); თვითრეალიზაციისაკენ სწრაფვა (61,9%); ცოდნისა და გამოცდილების გადაცემის შესაძლებლობა (56,8%)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღნიშნული მოტივების პრიორიტეტულობაზე, მათ დომინირებაზე პროფესიის, როგორც სამუშაო ადგილის შერჩევის; კონკრეტული უმაღლესი სასწავლებლის შერჩევისა და პროფესიული

საქმიანობის მოტივების იერარქიაში მიგვანიშნებს ის, რომ აღნიშნული მოტივები შემოხაზა 50%-ზე მეტმა რესპოდენტმა, რაც საშუალებას გვაძლევს ჩავთვალოთ ისინი პროფესორ-მასწავლებელთა მოტივების სტრუქტურის მოტივაციურ ბირთვში (იხ. დიაგრამა).

ამგვარად, აწსუ-ის პედაგოგების პროფესიული მოტივაციის მოტივაციურ ბირთვში შევიდა ისეთი მოტივები, რომლებიც უმეტესწილად უკავშირდება **შრომის შინაარსს** (დაგროვილი ცოდნის მომავალი თაობისათვის გადაცემის სურვილი; თვითგანვითარების სურვილი; ჩემი ცოდნისა და გამოცდილების გადაცემის შესაძლებლობა; სამეცნიერო-პედაგოგიური პოტენციალის რეალიზაცია; თვითრეალიზაციისაკენ სწრაფვა და ახალგაზრდა თაობასთან ურთიერთობა) და **უმაღლესი სასწავლებლებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ შრომის პირობებს** (სასწავლებლის იმიჯი და პრესტიჟი; ინტელექტუალურ გარემოში ყოფნის სურვილი და მატერიალური სარგებელი).

წარმატების მიღწევისათვის ორგანიზაციებსა და მის სტრუქტურაში, არა თუ სასურველი, არამედ სავალდებულოა, შეიქმნას, იარსებოს და მუდმივი განვითარების რეჟიმში ფუნქციონირებდეს პერსონალის მოტივირების სისტემა. იგი უნდა იყოს მოქნილი, ინდივიდუალიზებული და აუცილებლობის შემთხვევაში - სიტუაციური. როგორც შ. რიჩი და პ. მარტინი წერენ: “ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ განსხვავება ცალკეულ ინდივიდებს შორის უფრო არსებითი და ღრმაა, ვიდრე პროფესიებს შორის განსხვავება. როცა ადამიანი სწორადაა მოტივირებული, ის ფიქრობს და მოქმედებს სათანადოდ. ე. ი. უფრო მეტს იღიმის, ნაკლებად წუწუნებს და საყვედურობს” (Ritchie..., 2004).


პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული ზრდის მოტივაციის სისტემის ქვეშ იგულისხმება ელემენტების სიმრავლე, რომელიც შექმნილია წინასწარ მოცემული (დასახული) მიზნების მისაღწევად. ამ სისტემის ქვეშ იგულისხ-

ცხრილი. აწსუ-ს თანამშრომელთა შრომითი მოტივების სტრუქტურა

პროფესიის, როგორც სამუშაო ადგილის შერჩევის მოტივები	კონკრეტული უმაღლესი სასწავლებლის შერჩევის მოტივები	პროფესიული საქმიანობის მოტივები
